პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და ბატრაკთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100 000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მან.
ქართ. ბონებით ყველგან

№ 217 პარასკევი, 22 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 22 სექტემბერი 1922 წ. № 217

ცენტრალურ აღმასკომის სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30 თვის მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია, შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).

3) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ (მომხსენებელია მიწად-მოქმედებას სახ. კომ. ს. თოდრია).

4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).

8) მოხსენება შიმშილზე (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

0—3 ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

ცენტრალურ აღმასკომის სესიისათვის

ჩვენი საბჭოების ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნეს 30 სექტემბრისათვის სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის მორიგი სესია.

თუ რამდენათ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის, აშკარათ ჩანს იმ კითხვებიდანაც, რომლებიც დასმულია მის დღის წესრიგში და რომლების დაწვრილებით გარჩევა და გადაჭრა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი დღევანდელ ცხოვრების წარმატებითი განვითარებისათვის.

სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაცია, მიწად-მოქმედების დებულების შეცვლა დ დამატება შექმნილი პირობების მიხედვით, სისხლის სამართლის კოდექსისა და ადვოკატურისა და პროკურატურის დებულებათა მიღება, გადასახადების შესახებ და სხვა,—აი საითკენ იქნება მიპყრობილი სესიის მთავარი ყურადღება.

როგორც ვიცით საბჭოთა ხელისუფლება ეს ყველაზე უფრო მარტივი და იაფი ხელისუფლებაა აქამდე არსებულ სხვა და სხვა გვარ ხელისუფლებებთან შედარებით. და ეს არა იმიტომ, რომ ვითომ ჩვენ არ შეგვეძლოს უფრო რთული და ძვირი სახელმწიფო აპარატის შექმნა და მოწყობა, როგორც ეს წარმოუდგენიათ გადაგვარებულ ბურჟუაზიის დახავსებულ იურისტებს. სრულიადაც არა; საბჭოთა ხელისუფლება, ეს მუშებისა და ღარიბი გლეხების ხელისუფლებაა და მათთვის კი საჭიროა არა რთული არამედ მარტივი და გასაგები აპარატი, ვინაიდან მათ უხდებათ ამ აპარატში მუშაობა და მოვლა-პატრონობა. ამიტომ მუშათა კლასი და ღარიბი გლეხობა ყოველთვის ცდილობს თუ კი შეიძლება კიდევ უფრო გაამარტივოს და რაც შეიძლება ხელმისაწდომი გახადოს ის მშრომელ ჩამორჩენილ მასებისათვის.

ამ მიზნისათვისაა სწორეთ გამოწვეული ის, რომ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ურდგენს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმასკომის პლენუმს პროექტს სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ.

ჩვენ რასაკვირველია არ გამოუდგებით აქ ამ პროექტის გარჩევას, ვინაიდან საზოგადოთ საკითხი აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ საკმარისათ იყო გაშუქებული ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სადისკუსიო სტატიებში. ხოლო რაც შეეხება საბოლოო სიტყვას, ეს კი სწორეთ ამ ცენტრალურ აღმასკომის სესიას ეკუთვნის.

მეორე კითხვა, რომელიც საჭიროებს გარჩევას, ეს მიწის საკითხია, საზოგადოთ მიწის საკითხი ძალიან რთული საკითხია და განსაკუთრებით კი მიწად მოწყობა. ჩვენში გარდამავალ ხანის, პროლეტარიატის დიქტატურის დროს. ისტორიას ჩვენთვის არ მოუცია პრაქტიკული გამოცდილებიდან მიწად-მოქმედების გეგმა პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში და იძულებული ვართ ვემყაროთ თვითონ ჩვენ საკუთარ გამოცდილებაზე იმ პატარა ხნის განმავლობაში, როდესაც ჩვენ შეძლება მოგვეცა პრაქტიკულად გაგვეხორციელებია ცხოვრებაში ის იდეები და მისწრაფებანი, რისთვისაც იბრძვის თავგანწირულათ და სისხლს ღვრის საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასი.

ამიტომ გასაკვირიც არაა, თუ მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი, რომელსაც გაუთვალისწინებია და გაურკვევია ყველა ის დადებითი და უარყოფითი შედეგები, რომლებიც მოგვცა მიწად-მოქმედების ძველმა დებულებამ, ფიქრობს ამ დებულების შეცვლას და დამატებას, რათა რაც შეიძლება მაგარ ფეხზე დადგეს ჩვენი სასოფლო მეურნეობა. ხოლო თუ რამდენათ მნიშვნელოვანია ეს უკანასკნელი ჩვენი ქვეყნისათვის, ეს ყველამ კარგათ იცის.

მაგრამ დღევანდელ საქართველოს გარდა ამისა იმ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, რომელსაც რუსეთში დაარქვეს „ეკონომიური პოლიტიკის ახალი კურსი“, ძალზე ესაჭიროება სისხლის სამართლის კოდექსი, ადვოკატურისა და პროკურატურის მოწყობა და სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა სრულებით არ ემსგავსება ეკონომიურ პოლიტიკას და წესიერების მაგივრათ კი ანარქიას მოგვცემს ეკონომიკაში. ამიტომაცაა, რომ ეს საკითხი დღის წესრიგშია დასმული საქართველოს უმაღლეს ხელისუფლების წინაშე გასარჩევათა და გადასაჭრელათ.

მასთან ერთად ჩვენ გვგონია, რომ ცენტრალური აღმასკომის სესია დიდ ყურადღებას მიაქცევს იმ სტიქიურ უბედურებას, რომელიც საშინელ სისასტიკით დაატყდა თავს დღეს საქართველოს და განსაკუთრებით კი მის დასავლეთ მხარეს და გამოძებნის საჭირო ზომებს ამ მძიმე და საშინელ ჭრილობების რაც შეიძლება ნაკლები ტკივილებით მოსაშუშებლათ. მართალია სესიის დღის წესრიგში დგას საკითხი სიმშილობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხი ახალ სტიქიური უბედურების შესახებ მაინც ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი და მისთვის მთავარი ყურადღება მიქცეული, ვინაიდან ის შეეხება არა მარტო სიმშილობას, არამედ პირდაპირ ბუნებასთან ბრძოლასაც მთელ მხარეში, რათა მომავალში მაინც იქნეს თავიდან აცილებული საშინელი სტიქიის ასეთი რისხვა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მუშებისა და გლეხების უმაღლესი ხელისუფლება ღირსეულ ყურადღებას მიაქცევს მას და მით დაანახვებს ყველას, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მუშებსა და გლეხებს არა მარტო მყვლეფელებისა და მძარცველების კონტრ-რევოლიუციისაგან, არამედ ბუნების სტიქიის საშინელ რისხვისაგანაც.

საბინაო საკითხი

მრავალ საქმეთა შორის, რომელიც ჩვენ გვაქვს მოსაგვარებელი, საბინაო საკითხს უეჭველად ეკუთნის ერთი პირველი ადგილთაგანი.

ქალაქის აღმასკომის პლენუმის უკანასკნელ სხდომაზედაც, ეს საკითხი შეადგენდა განსაკუთრებული მსჯელობის საგანს.

საბინაო კრიზისმა ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში ფრიად მწვავე ხასიათი მიიღო. იმპერიალისტურ ომიდან დაწყებული თითქმის სავსებით შეჩერდა ქალაქებში სახლების აღმშენებლობა, კიდევ მეტი: ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი რემონტიც კი. და ამიტომ ფუჭდება და ინგრევა ის სახლებიც, რომელიც წინედ, მშვიდობიანობის დროსაა აშენებული.

მეორე მხრივ აღსანიშნავია, რომ ბინის მოთხოვნილება კი არ კლებულობს, არამედ შეუდარებლად მატულობს.

ჩვენი დედა-ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა.

ომსა და რევოლიუციას ბუნებრივად მოსდევს ადამიანთა მასიური გადაჯგუფება, მიმოსვლა. ამასთან თბილისი, როგორც ერთგვარი ცენტრი, მდებარე დედამიწის ორ ნაწილ, ევროპა-აზიას შორის, დიდ ძალ ხალხს იზიდავდა თავისკენ.

მენშევიკების ბატონობის დროს აქ პოულობდნენ თავშესაფარს ყოველი მხრიდან ყველა ჯურის კონტრ რევოლიუციონერები და სპეკულიანტები. ცხადია მათმა ნაწილმა აქ მკვიდრად მოიკიდა ფეხი, და ჩაება სხვა და სხვა სარფიან საქმეში, რასაც ახალ ეკონომიურმა პოლიტიკამაც მისცა ერთგვარი გასაქანი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდანაც არ შეჩერებულა ქალაქის მცხოვრებთა ზრდა. გაჭირვებული ელემენტები მეზობელ ქვეყნებიდან მოდიოდნენ და აქ ეძებდნენ ნავთსაყუდელს, შველას.

თვით საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გავლენა იქონია ჩვენი ქალაქის მცხოვრებთა გამრავლებაზე. აქ გაიხსნა მრავალი დაწესებულებანი, რომელთაც მოაწყდა პროვინციებიდან მოსამსახურეთა დიდ ძალი რიცხვი.

ეკონომიური, კულტურული და სხვა მიზეზებითაც ხდებოდა ქალაქის მოსახლეობის გამრავლება ჩვენი პროვინციის ხარჯზე.

ასეა თუ ისე, ჩვენი დედა-ქალაქი უზომოდ გაიბერა. არსებული შენობები ვეღარ იტევენ მცხოვრებლებს. საბჭოთა ხელისუფლება იმ თავითვე ღებულობდა ზომებს საბინაო კრიზისის შესანელებლად.

ერთი ასეთი ზომათაგანი იყო ქალაქის განტვირთვა ისეთ ელემენტებისაგან, რომელნიც არ ეყვნენ მასთან ორგანიულად დაკავშირებულნი. უნდა ითქვას აშკარად, რომ ამ ღონისძიებამ ვერ მოგვცა ისეთი საგრძნობი შედეგები, რომელსაც მოველოდით. გადასახლება, სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო, ვერ ჩატარდა მთელი თავისი სისრულით, და მან ქალაქის მოსახლეობის შემცირებაზე მაინც და მაინც ვერ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა.

ვერც ქალაქში შემოსვლის განსაზღვრამ მოიტანა საგრძნობი შედეგი.

უფრო რადიკალური იყო ბინების რეგლამენტაცია და მათი რაციონალურად განაწილების ცდა. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ საქმე რომ არ არის დასრულებული, ეს, იქიდანაც, ჩანს, რომ ქალაქის აღმასკომის პლენუმმა საჭიროდ სცნო სპეციალური კომისიის დაარსება, რომელსაც დაევალება ყველა საცხოვრებელ შენობების ხელმეორედ დათვალიერება ქალაქში, მათი შემჭიდროების მიზნით.

ეჭვი არ არის, პირველი ასეთი შემჭიდროების შემდეგაც დარჩნენ ბინები, სადაც ზოგიერთი მოქალაქენი, სხვადასხვა მახინაციების წყალობით, თითქმის ძველებურად ფართედ და ხალვათად ცხოვრობენ...

ეს რამდენიმედ მიეწერება საბინაო განყოფილების სისუსტეს. და ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ განყოფილების ძირითადი რეორგანიზაციის მოხდენა, რაც უკვე გადაწყვიტა პლენუმმა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა აილაგმონ იქედან ის ელემენტები, რომელნიც ვერ დგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე და სახელს უტეხენ საბჭოთა ხელისუფლებას.

უსათუოდ უნდა მოხდეს არსებულ ბინების სამართლიანი და მიზანშეწონილი განაწილება, და ამ სფეროში დაწყებულ საქმეს, იმედი უნდა ვქონიოთ, პირნათლად შეასრულებს ის სპეციალური კომისია, რომლის შესახებ ზევით გვქონდა ლაპარაკი.

თავის თავად იგულისხმება, რომ ბინების განაწილების დროს უპირატესობა უნდა მიეცეს მუშა მოსამსახურეთ. მათი უმრავლესობის საბინაო პირობები დღესაც მძიმეა.

მართალია, საბჭოთა ხელისუფლებამ იმ თავითვე მოახდინა სახლების საგრძნობ რაოდენობის ჩამორთმევა, რომლებშიც მუშები ჩაასახლა. მოხდა აგრეთვე მუშების ნაწილობრივი ჩასახლება სხვა სახლებშიც. მუშათა ამ სახლებს სჭირია შეკეთება და წესრიგში მოყვანა. აღსანიშნავია, რომ მუშათა სახლების შეკეთებას უკვე შესდგომია ქალაქის აღმასკომი. მხოლოდ ეს საქმე დიდ ძალ თანხას ითხოვს, და მარტო ქალაქის აღმასკომი ამის გაღებას ვერ შესძლებს, თუ სხვა ორგანოები არ დაეხმარებიან.

მაგრამ ეს სახლებიც რო კარგად მოეწყოს, ამით ბინებით მუშათა უზრუნველყოფის საკითხი არ წყდება.

მათი დიდი ნაწილი ისევ დარჩენილია ნესტიან და ბნელ სარდაფებში. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ახალი ბინების აღმოჩენის დროს პირველ რიგში იქ მუშები უნდა ჩავასახლოთ.

ამით შეიძლება მდგომარეობის მხოლოდ ნაწილობრივ გაუმჯობესება.

ჩასახლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა არის საამისო სახლები. ჩვენ კი ავღნიშნეთ, რომ არსებული შენობები ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მთელი მოსახლეობის, და კერძოდ მუშების მოთხოვნილებას. ამიტომ ჩვენ მთავარ ამოცანას უნდა შეადგენდეს ახალი სახლების ფართე აღმშენებლობის გაჩაღება.

ამ საქმეში ჩვენ არ უარვყოფთ კერძო ინიციატივას. კერძო მშენებლებს და ამხანაგობებს უნდა აღმოეჩინოს ყოველგვარი შეღავათი და დახმარება. მაგრამ სავსებით კერძო აღმშენებლობაზე იმედის დამყარება დიდი ილიუზია და შეცდომა იქნებოდა.

ამ საქმეში განსაკუთრებით უნდა გამოიჩინოს საქმიანობა სახელმწიფომ, ქალაქის საბჭომ, სამეურნეო და სხვა სათანადო ორგანოებმა. ჩვენ ამ თავითვე უნდა შევუდგეთ მუშათა ბინების აშენებას, და ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ თვით მუშებმა. საამისოდ ობიექტიური პირობები მძიმეა, თანხა და საშუალება მცირე გვაქვს, მაგრამ საკითხი იმდენად საჭირბოროტოა და მნიშვნელოვანი, რომ ამისათვის შესაძლებლობის ფარგლებში არ უნდა დავიშუროთ შრომა და ხარჯი. ახალ სახლების აშენებასთან ერთდროულად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს რემონტს. თუ ამ მხრივ არსებული მდგომარეობა გაგრძელდა, ახლობელ წლებში ჩვენ მოწმენი შევიქნებით შენობების მასიური დანგრევის. ამიტომ რემონტის წარმოებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რემონტს უნდა შეუდგნენ როგორც სახელმწიფო და ქალაქი, ისე კერძო სახლის პატრონნი. ხელისუფლებამ ეს უკანასკნელები უნდა აიძულოს დაუყონებლივ შეუდგნენ თავიანთი სახლების კაპიტალურ შეკეთებას.

შენობების სოციალურად განაწილება, პირველ ყოვლისა მუშათა ინტერესების მხედველობაში მიღებით, არსებული სახლების შეკეთების ფართოდ დაწყება, მუშათა ახალი სახლების აშენება და საერთოდ სახლის მშენებლობის გაჩაღება,—ეს გადაუდებელი ამოცანაა, რომლის განხორციელებას უნდა შეუდგეთ მთელი ჩვენი ძალღონით.

გ. ძ.

ოსმალეთის კომპარტიის ყრილობა

18 სექტემბერს მოვიდა ბათომში ოსმალეთის კომპარტიის ყრილობიდან დაბრუნებული კომინტერნის დელეგაცია ამხ. ზორინის, ეკ სადულის და ჯევაშის შემადგენლობით.

ამხ. ზორინმა ბაასში გამოსთქვა თავისი შთაბეჭდილება ყრილობის შესახებ. ოსმალეთის მცხოვრებთა ფართე წრეებმა დელეგაციის მიმართ გამოიჩინეს ცხოველი, მეგობრული დამოკიდებულება. ოსმალეთის მთავრობის რეაქციონური წრეები, საფრანგეთის მთავრობის გავლენით, იძულებული შეიქნენ აეკრძალათ ყრილობა, რამაც გამოიწვია გულწრფელი აღშფოთება ფართე მშრომელ მასებში და ლიბერალურ წრეებში. ყრილობაზე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ოსმალეთის კომპარტიის არსებობას. ყრილობამ ხელი შეუწყო არა მარტო ოსმალეთის მუშების და გლეხების დარაზმვას კლასიურ ბრძოლის ნიადაგზე, არამედ მათ მჭიდრო შეკავშირებასაც დასავლეთის იმპერიალიზმთან ბრძოლაში. ამ მხრივ ყრილობამ დიდი როლი ითამაშა, და ქონდა უდიდესი მნიშვნელობა ოსმალეთის ჯარის უკანასკნელ გამარჯვებებში, თუმც ყრილობა იყო ოსმალეთის კომუნისტური პარტიისათვის პირველი ყრილობა, მაგრამ მასზე უკვე ნათლად გამოირკვა, რომ ოსმალეთის მუშათა და გლეხთა მასები უკვე იგნებენ თავის ინტერესებს. მათი საუკეთესო წარმომადგენლებმა, რომელნიც შეიკრიბენ ყრილობაზე, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთს დიდი საშიშროება მოელოდა, აშკარად დაგვანახვეს თავისი გულწრფელი და ღრმა რევოლიუციონერობა, და რომ ისინი მზად არიან შესწირონ მთელი თავისი ძალღონე და სიცოცხლე მუშათა კლასის საქმეს.

რადიო-დეპეშები

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

ქემალ-ფაშის ულტიმატუმი.

მოსკოვი. 20 სექტემბერი. ფიქრობენ, რომ ქემალ ფაშა ახლო მომავალში წარუდგენს მოკავშირეებს ულტიმატუმს კონსტანტინეპოლის და დარდანელის ევაკუაციის მოთხოვნით.

საფრანგეთის პოზიცია.

მოსკოვი. 20 სექტ. მოსალოდნელ კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საფრანგეთის მთავრობა მცირე აზიაში დაბანდებულ ჯარს გადაიყვანს ევროპის ნაპირზე. პრესსა სთვლის ამ ცნობას პარიზში გასროლილ ბომბათ, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნეიტრალური ზონა მხოლოდ ინგლისელებმა უნდა დაიცვან.

სამხედრო მოქმედება.

მოსკოვი. 20 სექტემბერი. „დეილი ნიუსი“ იტყობინება, რომ ოსმალეთის კავალერიის პატრულებმა მიაღწიენ ნეიტრალურ ზონამდე. ქემალის არმია მიიწევს ჩრდილოეთ მიმართულებით და ამგვარად ემუქრება ნეიტრალურ ზონას ორის მხრივ.

ქემალს ჰყავს 70,000 ჯარისკაცი და მოელის დიდ აჯანყებას კონსტანტინოპოლში.

ოსმალეთის არმიის შეტევა.

ნაუენი. 20 სექტ. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად, ოსმალების 8 დივიზია უტევს იზმიდს, მარმარილოს ზღვის სხვადასხვა რაიონებში კი დატოვებულია დანარჩენი რეზერვი.

ქემალ ფაშის პასუხი.

ნაუენი, 20 სექტ. გაზეთ „პტი პარიზენის“ ცნობით, ქემალ-ფაშა მოკავშირეთა ნოტის საპასუხოთ აცხადებს, რომ ის არ ცნობს სევრის ხელშეკრულებას, რომლის თანახმად დაწესებულია დარდანელში ნეიტრალური ზონა. ქემალ ფაშა, აგრეთვე აცხადებს, რომ საბერძნეთთან დროებითი ზავის ჩამოგდებამდე ომი გაგრძელდება.

კონსტანტინოპოლისაკენ

ბორდო. 20 სექტემბერი. კონსტანტინოპოლიდან იტყობინებიან, რომ 19 სექტემბერს ოსმალეთის ცხენოსანის დივიზიის პირველი რაზმები შევიდენ ბიშას რაიონში.

იტალია და ახლო აღმოსავლეთის საკითხი

ბორდო. 20 სექტემბერი. გაზეთ „სტამპაში“ გამოქვეყნებულმა ინგლისის ნოტამ, დარდანელში სამხედრო ოპერაციების წარმოების შესახებ, მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. გაზ. „ტრიბუნას“ ოფიციოზურ წერილში აღნიშნულია, რომ იტალია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ ახლო აღმოსავლეთის გართულება გავრცელდება ევროპის ტერიტორიაზე, თუმცა იტალია სავსებით ეთანხმება მოკავშირეებს სრუტეების თავისუფლების საკითხში.

ავსტრალიის წინადადება

რომი. 20 სექტემბერი. მელბურნიდან იტყობინებიან, რომ ავსტრალიის პრემიერმა წინადადება მისცა ერთა ლიგაში მყოფ ავსტრალიის დელეგატს დაუყოვნებლივ აღძრას ლიგაში საკითხი ახლო აღმოსავლეთის შესახებ, მშვიდობიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

„უხერხულობა“

რომი. 20 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო ოფიციოზურ ცნობებში იხილავს კონსტანტინოპოლის და სრუტეების საკითხს. ცნობაში ნათქვამია, რომ ამ რაიონების ოსმალეთისათვის დაბრუნება ქმნის სერიოზულ პოლიტიკურ და ეკონომიურ უხერხულობას ბალკანეთის საკითხში, იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი ხელახლა შემოადგამს ფეხს ევროპის ტერიტორიაზე.

თათბირობენ.

ნაუენი. 20 სექტემბერი. ლორდ კერზონი გაემგზავრა პარიზში პუანკარესთან მოსალაპარაკებლად, რომელმაც გადასდო მარსელში კოლონიალურ გამოფენაზე გამგზავრება, მეტად სერიოზულ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო.

იტალიის პირობები.

ნაუენი. 20 სექტემბერი. იტალია მზად არის შეუთანხმდეს მოკავშირეებს სრუტეების საკითხში, მაგრამ მოითხოვს, რომ ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტი კონფერენციის გზით გადაწყდეს.

ბოლგარია და რუმინია ეთანხმებიან საფრანგეთს.

ჰანოვერი. 20 სექტემბერი. ნიუ-იორკიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბელგრადის და ბუხარის მთავრობანი მხარს უჭერენ ახლო აღმოსავლეთის საკითხში საფრანგეთის თვალსაზრისს ე. ი. წინააღმდეგ არიან ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო ღონისძიებათა ხმარებისა.

ნიტიჩის ლონდონში გამგზავრება.

ჰანოვერი 20 სექტემბერი. პრემიერ მინისტრი ნიტიჩი გაემგზავრა პარიზიდან ლონდონში, რომ გააცნოს ინგლისის მთავრობას სერბიის თვალსაზრისი ოსმალეთ-საბერძნეთის კონფლიქტის შესახებ.

იზმიდისაკენ

ჰანოვერი. 20 სექტემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობების თანახმად ოსმალეთის ჯარები იზმიდისაკენ მიიწევენ.

საბერძნეთის ნაციონალურ კრების დათხოვნა.

ჰანოვერი. 20 სექტემბერი. ათენიდან იტყობინებიან, რომ განზრახულია საბერძნეთის ნაციონალური კრების დათხოვნა და ახალი არჩევნების მოხდენა.

ინგლისის ავანტიურის წინააღმდეგ

ნაუენი, 20 სექტ. ლონდონში მიღებულია ცნობა პროვინციებში მომხდარ დემონსტრაციების შესახებ, რომელიც მიმართული იყო ინგლისის არმიის მიერ დარდანელთან ოპერაციებში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგ. ლონდონის მუნიციპალურ მოსამსახურეთა კავშირმა, რომელშიაც შედის 25,000 მეტ წევრი, გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც აცხადებს, რომ გააკეთებს ყველაფერს, რათა ხელი შეუშალოს ინგლისიდან გაგზავნას თუნდაც ერთი კაცის, ან იარაღის ახლო აღმოსავლეთის ომში მონაწილეობის მისაღებად, სთვლის რა, რომ უფრო მიზანშეწონილი იქნება უმუშევრებზე დაიხარჯოს ის თანხა, რომელიც დასჭირდება ომის წარმოებას.

პუანკარეს ინსტრუქცია

ბორდო. 20 სექტემბერი. საფრანგეთის კაბინეტის სხდომაზე პუანკარემ გამოაქვეყნა ინსტრუქცია, რომელიც გაუგზავნა მოკავშირე სახელმწიფოებთან მყოფ საფრანგეთის წარმომადგენლებს ახლო აღმოსავლეთის ამბების შესახებ. ინსტრუქცია ადასტურებს ყველა იმ პუნქტებს, რომელიც თავის დროზე იქნა შემუშავებული ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის უზრუნველ ყოფის პოლიტიკის საწარმოებლად. იმ ნაბიჯების შეფასებიდან, რომელიც გადასდგა საფრანგეთის რწმუნებულმა ლონდონის საქმეებში მონტილმა, სჩანს, რომ პარიზი ეთანხმება ლონდონს იმაში, რომ საჭიროა სამხედრო თვალსაზრისით დაცულ იქნას სრუტეების თავისუფლება. წინააღმდეგობა ეჩნევა მხოლოდ იმ საკითხში, თუ როგორი საშუალებით უნდა იქნეს მიღწეული ამ სრუტეების თავისუფლება. საფრანგეთის მთავრობას ძალიან გაუძნელდება მისდიოს ინგლისის მთავრობის სამხედრო მოქმედების პოლიტიკას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა ის, რომ საბერძნეთის არმიის გვერდით დადგებოდენ საფრანგეთის ჯარები, ეს კი საფრანგეთის მთავრობას დაუშვებლად მიაჩნია.

საფრანგეთის ყოფილ ელჩის ქერარის განცხადება

ბორდო. 20 სექტემბერი. იაპონიაში მყოფმა საფრანგეთის ყოფილმა ელჩმა ქერარმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა შეუთანხმდა საფრანგეთის მთავრობას ახლო აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღდგენის შესახებ. ქერარმა აღნიშნა, რომ საფრანგეთის ჯარებს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიათ იბრძოლონ საბერძნეთის ჯარების გვერდით და განაცხადა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრმა მიიღო ცნობა, საფრანგეთის და ოსმალეთის ჯარების შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, საფრანგეთმა გასცა ბრძანება გაყვანილ იქნეს საფრანგეთის ბატალიონები ნეიტრალურ ზონის სხვა და სხვა პუნქტებიდან.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენცია.

ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციის გამო.

მოსკოვი. 20 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, რომ ინგლისი არ მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაზე ახლო აღმოსავლეთის საკითხების შესახებ, თუ მასში მონაწილეობა არ მიიღო რუსეთმა.

პრესის აზრი

ბორდო. 20 სექტემბერი. მოჰყავს რა პარალელი ინგლისის და საფრანგეთის პოლიტიკის შორის ახლო აღმოსავლეთის საკითხში, გაზ. „მორნინგი პოსტი“ ამბობს, რომ პუანკარემ უდიდესი სამსახური გაუწია ევროპის მშვიდობიანობის საქმეს. რეიტერის სააგენტო ადასტურებს ინგლისის მთავრობის მშვიდობიან განზრახვებს იმ შემთხვევაში თუ ოსმალეთი არ გადალახავს ნეიტრალურ ზონას. სააგენტო აბათილებს იმ ხმებს, რომ თითქოს ინგლისი აპირობდეს ახალ სამხედრო და საზღვაო ოპერაციების წარმოებას.

ინგლისის კოლონიებში.

კროიდონი. 20 სექტემბერი. ავსტრალიის წარმომადგენელთა პალატაში ხიუზმა განაცხადა, რომ მთავრობა მოითხოვს ინგლისის ამომწურავ განმარტებას, სანამ ამა თუ იმ ნაბიჯს გადასდგამდეს ახლო-აღმოსავლეთის საკითხში, თუმცა ავსტრალიას სურს მიიღოს მონაწილეობა სრუტეების დაცვაში. კანადის კაბინეთმა დაიკავა ისეთი პოზიცია, რომელიც ეთანხმება ხიუზის თვალსაზრისს. კანადაც დაელოდება ლონდონიდან განმარტებების მიღებას, სანამ დაიწყებდეს მოქმედებას.

მზადება გრძელდება.

კროიდონი. 20 სექტემბერი. საზღვაო და ხმელეთზე სამხედრო სამზადისი ოსმალეთის ჯარების შემოტევის წინააღმდეგ გრძელდება. ნაღმოსნიან გემების მეორე ფლოტილიამ და ატლანტიის ფლოტის გემებმა მიიღეს ბრძანება გავიდენ ხმელთა შუა ზღვაში.

ბრიტანეთის მთავრობის ნოტის გამო.

მოსკოვი. 20 სექტ. ინგლისის მთელი პრესა ერთსულოვნად აღნიშნავს იმ მდგომარეობის უკიდურეს სირთულეს, რომელიც გამოიწვია ინგლისის მთავრობის დეკლარაციამ. მთავრობის პრესა ენერგიულად უჭერს მხარს დეკლარაციას და (გამოტოვებულია). მაგრამ, თუ ქემალი შეეცდება სრუტეების დაკავებას, მაშინ ინგლისი მოკავშირეებთან ერთად და აგრეთვე მათ გარეშეც, გადაელობება მას გზაზე. მთავრობის პრესა აღნიშნავს იმ შესაძლებლობასაც, რომ კონსტანტინოპოლი გადაეცემა ოსმალეთს.

მეორეს მხრივ გაზ. „ტაიმსი“, „დეილი მაილი“ და „დეილი ტელეგრაფი“ სასტიკად აკრიტიკებენ მთავრობას. გაზ. „ტაიმსი“ აცხადებს რომ მთელი ქვეყანა აღშფოთებული იქნება მთავრობის წინააღმდეგ, თუ იგი არ შესცვლის პოლიტიკას ახლო-აღმოსავლეთის საკითხში, გაზ. „დეილი მეილი“ აღნიშნავს, რომ ინგლისის საზოგადოება განცვიფრებულია რომ ლოიდ-ჯორჯი ახალ ომს ამზადებს, მთავრობის პოლიტიკა უაზროა. გაზეთები გამოსთქვამენ რწმენას, რომ (გამოტოვებულია)... უარს იტყვიან ახალ ავანტიურაში მონაწილების მიღებაზე. გაზ. „დეილი გერალდი“ სწერს: „არც ერთი სალდათი, არც ერთი ზარბაზანი“, ასეთი უნდა იყოს ინგლისის ხალხის გადაწყვეტილება. ახლო აღმოსავლეთის საკითხი უნდა იქნეს გადაწყვეტილი ერთა ლიგის მიერ გერმანიის და რუსეთის განაწილებით“.

— ბრიტანეთის მთავრობის დეკლარაციის წინააღმდეგ გაილაშქრა საფრანგეთის მთელმა პრესამ. გაზ. „ლიბერცე“ ურჩევს საფრანგეთის მთავრობას გადაჭრით განაცხადოს, რომ საფრანგეთი არ მიიღებს მონაწილეობას სამხედრო საქმეებში. გაზ. „პტი ჟურნალი“ აცხადებს, რომ საფრანგეთი თავს იკავებს ყოველგვარ ავანტიუ-

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის ამკრეფი კომისია აცხადებს ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომელნიც განთავისუფლებულნი არიან შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადისაგან, რომ

გადასახადისაგან განთავისუფლების მოწმობის შეტანის

და სარაიონო კომისარიატებში დოკუმენტებზე სათანადო ნიშნის დადებისა უკანასკნელ ვადათ

დანიშნულია

25 სექტემბერი

აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი ბლანკები და მოწმობები არ იქნება მიღებული გადასახადის ამკრეფთა მიერ და ის პირები, რომელთაც ხელში დარჩებათ კომისარიატში წარუდგენელი მოწმობები გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, ვალდებულნი იქნებიან შეიტანონ გადასახადი ფულად ყველა ზედ-დართულ ჯარიმებით.

ყველა დაწესებულებებმა და პროფორგანიზაციებმა უნდა შესწყვიტონ მოწმობების გაცემა, 25 სექტემბერს ჩააბარონ კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. **ნასყიდაშვილს** (შრომის სახ. კომისარიატი, რუსთველის პრ. № 19) ანგარიშები გაცემულ ბლანკების შესახებ და დაუბრუნონ დარჩენილი გამოუყენებელი მოწმობების ბლანკები, განთავისუფლების შესახებ.

კომისიის თავმჯდომარე **თაქთაქიშვილი.**

პასუხისმგებელი მთავარი კომისიის წევრი **ა. რუხაძე.**

რისაგან. გაზ. „ტენი" აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის თვალსაზრისს არ იზიარებს არც საფრანგეთი და არც იტალია.

გაზ. „დეილი ბეილი" იტყობინება, რომ ბრიტანეთის მთავრობის დეკლარაციამ გამოიწვია საფრანგეთში განცვიფრება და აურზაური.

— იტალიის პრესა კიდევ უფრო მეტად ილაშქრებს დეკლარაციის წინააღმდეგ. გაზ. „ტრიბუნა" ოფიციოზურ შენიშვნაში აცხადებს: „საშინელი და დაუჯერებელი იქნებოდა შეგვეწირა იტალიის სალდათები იმ საქმისათვის, რომლის წინააღმდეგ მიდის მთავრობაც და საზოგადოებრივი აზრიც".

გაზ. „დეილი გერალდი" გადმოგვცემს იტალიის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთ ერთ უმაღლეს მოხელის განცხადებას იმის შესახებ, რომ კონსტანტინოპოლი უნდა გადაეცეს ოსმალეთს.

გაზ. „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ იტალია ამჯობინებს უარი სთქვას სრუტეებზე, ვიდრე მიიღოს მონაწილეობა მათ დაცვაში.

ანგორის მთავრობის მოთხოვნილება.

მოსკოვი. 20 სექტემბერი. ანგორის მთავრობა მოითხოვს დაუყონებლივ იქნეს მოწესრიგებული სადავო საკითხები ოსმალეთსა და მოკავშირეებს შორის და აცხადებს თანხმობას მისცეს გარანტიები ეროვნულ უმცირესობათ. ანგორა თანახმაა სრუტეების დემილიტირიზაციისა და ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ გემების თავისუფალი მიმოსვლისა. ანგორა ილაშქრებს გალიპოლის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ.

მცირე ანტანტა და ოსმალეთ საბერძნეთის კონფლიქტი.

მოსკოვი. 20 სექტემბერი. ოფიციოზური გაზეთი „არავერ არესე" უარყოფს ბალკანეთის სახელმწიფოების გამოსვლის შესაძლებლობას. გაზეთი აღნიშნავს, რომ ყველა ხმები, მცირე ანტანტის სამხედრო „სამზადისის შესახებ, ოსმალეთის შემოტევის გამო მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს".

ოსმალეთის გამარჯვების გამოძახილი

ჰანოვერი. 20 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება ოსმალეთის გამარჯვების გამო ბომბეიაში მომხდარ ზეიმის შესახებ. გაიმართა დიდი დემონსტრაციები ოსმალური დროშებით და ქემალ ფაშის სურათით.

რომი. 20 სექტემბერი. იტალიის პრესსა იუწყება, რომ ბომბეის პოლიტიკურ წრეებში წინააღმდეგი არიან, რომ ინგლისმა გაგზავნოს სამხედრო ნაწილები დარდანელის ოპერაციებისათვის.

ანტანტა და გერმანია

გაგენშტეინის დაბრუნების გამო.

ნაუენი. 20 სექტემბერი. გაგენშტეინიმ, ლონდონიდან დაბრუნების შემდეგ დაუყოვნებლივ აცნობა გერმანიის კაბინეთს თავის მოგზაურობის შესახებ. კაბინეთმა მიიღო სახელმწიფო ბანკის წინადადება ბელგიისათვის მისაცემ ბონების ხელისმოწერის შესახებ და მიანდო ბრიუსელში მყოფ გერმანიის წარმომადგენელს ლანდსბერგს აცნობოს ამის შესახებ ბელგიის მთავრობას.

ბელგია და გერმანია

რომი. 20 სექტემბერი. საფრანგეთის გაზეთები კომენტარიებს უკეთებენ გერმანია და ბელგიის შორის მომხდარ ახალ შეთანხმებას. „ფიგარო" აღნიშნავს, რომ ხაზინის ბონები იქნებიან ნამდვილი კომერციული ვალდებულებანი, რადგანაც ისინი მთავრობის მიერ გამოშვებული არის და შემოწმებულია სახელმწიფო ბანკის მიერ, ამიტომ მათ სრული გარანტია აქვთ. მათი დახურდავება შესაძლებელია და ბელგიის მთავრობა ბონებს მალე გაინაღდებს.

გერმანიის პრესის აზრი

ჰანოვერი. 20 სექტემბერი „დეიტჩე ალგემაინე ცეიტუნგი" სწერს: დამტკიცებულია, რომ ფასეულობათა დახურდავების ვადა 10 თვით გაგრძელდა. მხოლოდ იბადება საკითხი, როგორი იქნება ბელგიის პოზიცია გადახდის ოთხი თვის შეღავათის მიცემის ახალი გეგმისადმი. ბრიუსელის ცნობით, ბელგიის მთავრობა არ იტყვის უარს ვადის გაგრძელებაზე, ნაწილი გერმანიის პრესისა არ გამოსთქვამს კმაყოფილებას გავენშტეინის მოგზაურობის შედეგით. „ფორვერტსი" სწერს, რომ საფრანგეთის ცდა ათქმევინოს ბელგიას უარი გერმანიის წინადადებებზე, უნაყოფოდ ჩაიარაო. მაშინ, დროებით მაინც, გერმანია თავს დააღწევს საკონტრიბუციო საკითხის მუქარას, და ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელია მოხთეს გადასინჯვა საკონტრიბუციო პრობლემების. „ფრეიხაიტი" ამტკიცებს, რომ საკონტრიბუციო საკითხების გადასინჯვა არის მორიგი ამოცანა გერმანიისათვის „გერმანია" გამოსთქვამს იმედს, რომ გერმანია და ბელგიის შორის მალე მოხდება შეთანხმება საკონტრიბუციო საკითხებში.

საფრანგეთი და გერმანია.

ნაუენი. 20 სექტ. პარიზიდან მიღებულ ცნობების თანახმად ბერლინში სწარმოებს მოლაპარაკება განადგურებულ ოლქების ალსადგენად მასალების მიწოდების წესზე და დროზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ყრილობა.

მოსკოვი. 20 სექტ. 19 სექტემბრის დილის სხდომაზე რუდზუტაკმა გააკეთა მოხსენება ხელფასის მოწესრიგებისა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესახებ. მომხსენებელი ამბობს: „რამდენადაც არ შეიძლება ხელფასის ყველა საკითხების გადაწყვეტა ცენტრში, იძულებული ვიყავით უარგვეყო მოწესრიგების საერთო სისტემა და ამიტომ გატარებულ იქნა ხელფასის დეცენტრალიზაცია. მომავალში საჭიროა ხელფასის თანასწორი განაწილება მრეწველობის ცალკე ჯგუფებში მოხმარების მიხედვით.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ხელფასის სხვა და სხვა გვარი გამოანგარიშება ხელს უშლის ნამდვილი რაოდენობის გამორკვევას, ამიტომ საჭიროა დაწესებულ იქნეს ხელფასის საერთო ერთეული. მომხსენებელი დაასკვნის, რომ შეუძლებელია სხვა და სხვა ნაირ ხელფასის არსებობის დროს გატარებულ იქნეს დეკრეტის გზით კოლექტიური ხელშეკრულებანი.

მომხსენებელი კავშირების კულტურულ მუშაობის შესახებ ანვითარებს იმ აზრს, რომ საჭიროა განათლების საქმის საერთო დაყენება დავაკისროთ სახალხო კომისარიატის ორგანოებს. კავშირებმა უნდა აწარმოვონ მხოლოდ განმანათლებელი მუშაობა პროფმოძრაობის საკითხების გარშემო. მთელი განმანათლებელი მუშაობა უნდა დავტოვოთ ფაბრიკა ქარხნების ორგანოების ხელში.

მოხსენება საორგანიზაციო საკითხის შესახებ.

საორგანიზაციო საკითხის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ანტიპოვი, რომელიც აუცილებლად სთვლის მიენიჭოს ადგილობრივ პროფორგანოებს რაც შეიძლება მეტი ინიციატივა. პროფკავშირთა მოწყობის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საწარმოვო პრინციპებით.

მოხსენება სოციალურ დაზღვევის შესახებ.

საღამოს სხდომაზე სოციალურ დაზღვევის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ლიტვინოვი. ეხლა, ამბობს მომხსენებელი, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფა უნდა იქნეს შეცვლილი სოციალური დაზღვევით, წარმოებათა და არა სახელმწიფოს ხარჯზე საბჭოთა დაზღვევის კანონმდებლობა უკვე ანიჭებს მუშას მეტ უფლებებს, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნების კანონმდებლობა. დაზღვეული განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადისაგან. წარმოებათა დამზღვევის გადასახადები გაცილებით აღემატება ბურჟუაზიულ ქვეყნებში არსებულ გადასახადებს. სოციალურ დაზღვევისა და შრომის დაცვის მთელი საქმე უნდა დარჩეს შრომის სახ. კომისარიატის ხელში. საქმის წარმატებისათვის უნდა შევეცადოთ ჩავაბათ მუშათა მასები დამზღვევ ორგანოების უშუალო სამუშაოში.

საღამოს სხდომის დასასრულს ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა 26 მუშა კომუნისტების ხსოვნას, რომელნიც ამ 4 წლის წინად დახვრიტეს თეთრებმა ბაქოში.

ესტონეთის ახალგაზრდათა კომკავშირის მისალმება.

მოსკოვი. 20 სექტ. ამხ. ლენინმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ესტონეთის ახალგაზრდათა კომკავშირის პირველი არალეგალური კონგრესი უგზავნის მხურვალე სალამს რევოლიუციის წინამძღოლს ამხ ლენინს. ესტონეთის კომუნისტური ახალგაზრდობა გაფაციცებით ადევნებს თვალყურს თქვენს ავადმყოფობას და გისურვებთ სრულ გაჯამრთელებას. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის წინამძღოლს ლენინს!"

— ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „ესტონეთის ახალგაზრდათა კავშირის პირველი კონგრესი სალამს უგზავნის რევოლიუციონურ ახალგაზრდობის მსოფლიო ბრძოლის შტაბს. გაუმარჯოს მუშა - ახალგაზრდობის მსოფლიო კონგრესს, გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელთა ერთიან ფრონტს!"

დეპუტატ ერრიოს მოსკოვში ჩასვლა.

მოსკოვი, 20 სექტ. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის პალატის დეპუტატი ერრიო. მას შეხვდა რკინის გზის სადგურზე გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის მდივანი. ერრიო მიიღო გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილემ კარახანმა.

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. 20 სექტემბერი. მოსკოვში ჩამოსულმა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა ერიომ განაცხადა, რომ ის არის საფრანგეთის საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენელი. მის მიზანს შეადგენს საფრანგეთის საბჭოთა რუსეთთან დაახლოვება. არ უნდა ვიფიქროთ, რომ პუანკარეს კაბინეთი ძლიერ მტრულად უყურებს რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენას. საფრანგეთის შეურიგებელი პოზიცია გენუაში ნაკარნახევი იყო საერთაშორისო მოსაზრებებით, რომელიც ამ ჟამად არ არსებობს.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც ერიომ მიიღო ჩიჩერინთან ბაასიის დროს, საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ ხელსაყრელ შედეგებზე, რადგან საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელთა მხრივ მან დაინახა უცილო სურვილი ორივე მხარის დამოკიდებულობის გაუმჯობესებისა. ამის პირველი ეტაპი იქნება კომერციულ დამოკიდებულების გაცხოველება. ერიომ პირადათ მიიწვია რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ორგანიზაციები მომავალი წლის მარტში ლიონის ბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებად. მოსკოვში ყოფნის დროს ერრიო აწარმოებს აქტიურ მუშაობას საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობის გასაცნობათ, რათა მოამზადოს ნიადაგი მომავალ ოფიციალურ მოლაპარაკებისათვის.

რუსეთ-იაპონიის კონფერენცია

მოსკოვი, 20 სექტ. რუსეთ იაპონიის კონფერენციის სხდომაზე იაპონიის წარმომადგენელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ იაპონიის მთავრობა ეთანხმება რუსეთის დელეგაციის წინადადებას შესახებ ხელშეკრულების დადებისა არა მარტო შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკასთან, არამედ რ. ს. ფ. ს. რ.—თანაც, იმ საკითხების შესახებ, რომელიც შორეულ აღმოსავლეთს შეეხება, ამასთან ერთად იაპონია ძალაში სტოვებს თავის წინანდელ წინადადების შესახებ იმას, რომ ამგვარ ხელშეკრულების დადების შემდეგ უნდა დაიწყოს მოლაპარაკება მის გავრცელების შესახებ რ. ს. ს. ფ. რ ზე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

მოლაპარაკება ამერიკის და ინგლისის მაღაროების მუშათა შორის.

ნაუენი. 20 სექტემბერი. ამერიკის მაღაროების მუშათა კავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას ინგლისის მაღაროების მუშებთან შეთანხმებაზე, რომლის ძალით ამერიკელ მუშების გაფიცვის დროს ინგლისიდან ამერიკაში არ უნდა იქნას გაშვებულ ნახშირის არც ერთი ფუთი.

პუანკარე და კერზონის თათბირის გამო.

რომი 20 სექტემბერი. ლორდ კერზონის პუანკარესთან თათბირის დროს დაესწრება გრაფი სფორცა.

სამოქალაქო პანაშვიდი

20 სექტემბერს საღამოზე, ამხ. ივანოვ-კავკასკის თავმჯდომარეობით რუსთაველის თეატრში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი ბაქოს 26 კომისარის ხსოვნის აღსანიშნავად.

პანაშვიდის დასაწყისი დანიშნული იყო საღამოს 7 საათზე, მაგრამ დანიშნულ დროზე უფრო ადრე თბილისის პროლეტარიატი მოგროვდა პანაშვიდზე და 8 საათისათვის დარბაზი და სცენა გაჭედილი იყო ხალხით.

ამხ. ივანოვ-კავკასკის სიტყვა

4 წლის წინად 26 საუკეთესო ამხანაგი დაიღუპენ ინგლისის იმპერიალიზმის დაქირავებულთა ხელიდან, რომელთაც ამ ნაბიჯით სურდათ ძირშივე მოესპოთ პროლეტარული რევოლიუცია.

ეს ამხანაგები დაიღუპენ კასპიის იქითა უდაბნოში, მაგრამ ბაქოს პროლეტარიატმა, რომელმაც, ის იყო წამოეგო შემთანხმებულთა ანკესზე, გაიგო თავისი შეცდომა და დაიხსომა თავის საუკეთესო წარმომადგენლების ალთქმა.

26 კომისარი დაიღუპა, მაგრამ ამით ინგლისის იმპერიალისტებმა ვერ შესძლეს რევოლიუციის ჩახშობა რომ ეს ასეა—ჩვენ ამის შედეგს ვხედავთ დღეს, პროლეტარიატმა მაღლა აღმართა ის დროშა, რომელიც ხელში ეჭირა ბაქოს 26 კომისარს.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა: არა 26, არამედ 26 ათეული, ასეული და ათასეული ამხანაგები დავკარგეთ ჩვენ მედგარ რევოლიუციონურ ბრძოლაში.

კიდევაც ბევრს დავკარგავთ მანამ, სანამ არ გაიმარჯვებს პროლეტარიატი.

ისინი დაიღუპენ, ჩვენი საუკეთესო ამხანაგები და წინამძღოლნი. ისინი დაიღუპენ იმ მომენტში, როდესაც ბაქოს პროლეტარიატმა დაუჯერა ერთი წუთით სოციალ-გამცემლნბს და გადასცა ძალა-უფლება ცენტრო-კასპიას. თავის შემდეგი ბრძოლით ბაქოს მუშებმა გამოასწორეს თავისი შეცდომა, რომელიც მას დაუჯდა 26 ჩვენი ამხანაგის სიცოცხლით.

ხსოვნა მათი მღელვარე ცხოვრებისა და გმირული სიკვდილის შესახებ, სამარადისოდ დარჩება პროლეტარიატის გულში და განსაკუთრებით ამიერ კავკასიის პროლეტარიატს შორის, სადაც ისინი მუშაობდენ მომავალი ცხოვრების აღმშენებლობისათვის.

ამხ. ფ. მახარაძის სიტყვა

4 წლიწადი შესრულდა, მაგრამ ეს 4 წლიწადი 4 საუკუნეთ გვეჩვენება, იმდენად მრავალი ამბები მოხდა ამ ხნის განმავლობაში.

მოხდა დანაშაული ისეთი საშინელი, თუმცა ამ ხნის განმავლობაში მრავალ სხვა დანაშაულსაც ჰქონდა ადგილი, რომლის მსგავსი ჩვენ არ გვახსოვს. თვით ინგლისელებსაც ესმოდათ ეს და სცდილობდენ დაეფარად კვალი, მაგრამ ეს მათ ვერ მოახერხეს.

ეს ვერაგობა მოხდა მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ბეწვზე ეკიდა და თუ ჩვენ გვაქვს 4 წლის გამოცდილება, მაშინ ეს ჩვენ არ გვქონია, და დაღუპულ ამხანაგებსაც არ ქონიათ არსებითად არავითარი იარაღი წითელ არმიის ხელში, გამარჯვების საწინდარი არ იყო.

ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენ გარშემორტყმული ვართ კაპიტალისტური ძალების მიერ და მივდივართ ახალი გზით.

დაღუპულ ამხანაგების ხსოვნამ ჩვენ უნდა მოგვაგონოს გამოვლილი ბრძოლის მომენტები. გაუმარჯოს დაღუპულ ამხანაგების ხსოვნას, გაუმარჯოს მუშათა კლასის სრულ და საბოლოვო გამარჯვებას.

ამხ. ს. ქავთარაძის სიტყვა.

სამოქალაქო ომის 5 წლის განმავლობაში ჩვენი ნერვები გაქვავდა. ჩვენ შევეჩვიეთ მსხვერპლის გაღებას და აღარ ვართ ისე გულჩვილნი, როგორც ომის წინა დროინდელი ადამიანები. მაგრამ დღევანდელ დღეს აღნიშნული ფაქტი საკმაო მიზეზს გვაძლევს ვსთქვათ, რომ ამ ფაქტს შეუძლია 5 წლის სამოქალაქო ომში გაქვავებულ ვბრძოლის ნერვების სისტემის შერყევა.

26 კომუნარი, საუკეთესო მებრძოლნი, ბაქოს პროლეტარიატის საუკეთესო ხელმძღვანელები დახვრეტილ იქნენ სოციალ გამცემლების და ინგლისის იმპერიალიზმის სისხლიან ალიანსის გამო. როდესაც მოვიგონებთ დაღუპულთ უნდა გავიხსენოთ ერთი მათგანის ალიოშას სიტყვა: „პროლეტარიატი არასოდეს არ დაიღუპება. პროლეტარიატი ყოველთვის გამონახავს საშუალებას და ყველაფერს დაამარცხებს", ჩვენ ვხედავთ რომ ეს წინასწარმეტყველური სიტყვები ასრულდა. თუ წინად იმპერიალისტები სრულებით არ სცნობდენ პროლეტარიატს და მის დახვრეტასაც არ ერიდებოდენ, ამ ჟამად ისინი მზად არიან მივიდნენ საბჭოთა რუსეთთან, თუნდაც დიდი დათმობით, მხოლოდ მიიღონ მისგან რაიმე გამოხარჩენი. რომ ეს ასეა, სჩანს კრასინის მოლაპარაკებიდან ლონდონში.

დღეს მოვიგონებთ რა მათ, ვინც თავისი თავი სამსხვერპლოზე მიიტანა—სტეფანეს, ალიოშას და სხვ. ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: „თქვენი მკრთალი პირისახე—ჩვენი დროშაა და ამით პროლეტარიატი გაიმარჯვებს".

ამხ. კორობჩენკოს სიტყვა.

ბაქოს პროლეტარიატის წარმომადგენელი ამხ. კორობჩენკო ამბობს, რომ თუ ერთ დროს ბაქოს პროლეტარიატი დაიბნა, ამ ჟამად ის გამოფხიზლებულია და კარგად ახსოვს წარსული.

ასეთ შეცდომას ის კვლავ აღარ დაუშვებს; დღეს ბაქოს პროლეტარიატი პატივს სცემს დაღუპულთა ხსოვნას და თავის შეცდომას ასწორებს.

ოვაცია კომინტერნის წარმომადგენლებს

ამხ. ივანოვ-კავკაზსკი აცნობებს ხალხს, რომ პანაშვიდზე არიან კომინტერნის წარმომადგენლები ჟან სადული და ამხ. ჯავატი. დამსწრეები ამ ცნობებს მხურვალე ოვაციებით და ფეხზე ადგომით მიეგებენ, ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

ამხ. ჟ. სადულის სიტყვა

ამხ. ჟ. სადული, თავის სიტყვაში ფრანგულ ენაზე, აღნიშნავს, რომ თუმცა ის დაესწრო პანაშვიდს შემთხვევით, პირდაპირ მატარებლიდან, მაგრამ სავსებით უერთება აქ დამსწრე ხალხის გრძნობებს და ამბობს რომ მე 2 და 2½ ნახ. ინტერნაციონალის ბელადებს უნდა უპასუხოთ არა სიტყვებით, არამედ საქმით მათი ბოროტ მოქმედებისათვის შურს იძიებს პროლეტარიატი.—

ამხ. შეინგარდის სიტყვა.

ახალგაზრდათა კომინტერნის აღმასკომის წევრი ამხ. შეინგარდი თავის სიტყვაში, რომელიც მან წარმოსთქვა გერმანულ ენაზე, ესალმება რა კომუნისტურ ახალგაზრდობის საერთაშორისო კავშირის სახელით, ამბობს, რომ არა მარტო აქ, არამედ გერმანიაშიაც იყო მსხვერპლი, ვ. ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი დაიღუპენ სოციალ გამცემლების ხელიდან. შემდეგ ის აღნიშნავს, რომ გერმანიის პროლეტარიატი დღეს თუ ხვალ გამოვა რევოლიუციის ასპარეზზე. სიტყვის დასასრულს შეინგარდი ამბობს რუსულად „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას.

ამხ. ზორინის სიტყვა.

პეტროგრადის პროლეტარიატის წარმომადგენელი ამხ. ზორინი, რომელსაც ოვაციებით ეგებებიან, ამბობს:

არ არის დრო პროლეტარიატს საკურთხი გაუმართოთ. მოვლენები ისე იხლართებიან, რომ ცუდ ამბებთან ერთად კარგსაც აქვს ადგილი.

მე და ჩემი ამხანაგი ჩამოვედით ანგორიდან, სადაც ჩავატარეთ ოსმალეთის კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობა. (ტაში) ამ მივარდნილ, ნახევრად ველურ ქვეყანაში აგრეთვე დიდია მსხვერპლი, თუმცა სამრეწველო პროლეტარიატი იქ მხოლოდ 50 ათას კაცს არ აღემატება.

კომინტერნი მითხოვდა ყრილობის ნებართვას და თუმცა ოსმალეთის მთავრობამ აკრძალა, ჩვენ მაინც ჩავატარეთ იგი (ტაში).

ვიგონებთ რა დაღუპულ ბაქოელ კომისრებს, ჩვენ უნდა მოვიგონოთ და პატივი ვცეთ მათ იმისათვის, რომ მათი ყოველდღიური მუშაობის მეოხებით დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში. იმათ მოგვცეს საშუალება დაგვეარსებინა ოსმალეთის კომპარტია. რომელიმე მუშა სამრეწველოებში დაინახავდა და გაიგონებდა მათ და შინ დაბრუნებისას, უამბობდა ოსმალეთის მუშებს, როგორც მათ სიტყვებს ისე მოპოებულ გამოცდილებას.

ეს დაღუპული 26 ამხანაგი არის პირველი ჯგუფი იმ ათეულ ათას მუშების და გლეხებისა, რომელნიც ბრძოლაში დაეცენ.

პროლეტარიატის გამცემლები ხვრეტდენ რა დაცემულ გმირებს, ისინი ჰკლავდენ არა მარტო შაუმიანს, ან ჯაფარიძეს, არამედ თოფს უმიზნებდენ რევოლიუციას—სურდათ რევოლიუციის მოსპობა. არ მოინახება არც ერთი მუშა, რომელმაც 5 წლის ბრძოლის შემდეგ, აპატიოს სოციალ გამცემლებს მათი დანაშაული.

ვიგონებთ რა დაღუპულებს და ვამბობთ „საუკუნო ხსენება მათ" ჩვენ უნდა განვაგრძოთ და ვსთქვათ მეორე ნაწილიც, „საუკუნო სიძულვილი და წყევლა-კრულვა მათ, ვინც ელობებოდა პროლეტარიატს გზაზე და ხელს უშლიდა მას ბრძოლაში."

პანაშვიდის დასასრული.

ორატორთა სია ამოწურულია. სამოქალაქო პანაშვიდი დასრულდა ინტერნაციონალის სიმღერით.

სასურსათო გადასახადის კამპანია

მოგვყავს ახალი დამატებითი ცნობები, რომელიც ეს არის ახლა მიიღო სახალხო სასურსათო კომისარიატმა:

ახალქალაქის მაზრა. გადასახადის შეკრება მხოლოდ ამ დღეებში დაიწყო, მაგრამ მუშაობას უკვე დამკვრელი ხასიათი მიეცა. მოსახლეობა საკმაო ხალისით იხდის როგორც წრევანდელ სასურსათო გადასახადს, ისე შარშანდელ გადასახადის ნარჩენს. შემოდის წისქვილის გადასახადიც.

სექტემბრის 13 დან 17-მდე მაზრაში აკრებილია წრევანდელ სასურსათო გადასახადის ანგარიშში: ხორბალი—418 ფუთი, ქერი—480 ფუთი, ჭვავი—24 ფ., ცხვარი—15 სული (344 ფუთი) და სხვა.

დუშეთის მაზრა. საგადასახადო მუშაობა მთელს მაზრაში გაჩაღებულია. სექტემბრის 19-მდე შეკრებილია: ხორბალი—8345 ფუთი, ქერი —134 ფ., ლობიო—73 ფ და სხვა. სრული იმედია, რომ წრევანდელი კამპანია სასურველათ ჩაივლის.

ბორჩალოს მაზრა. მოსახლეობა, რომელიც ზაფხულის განმავლობაში გახიზნული იყო, სახლში დაბრუნდა და მარცვლეულის დაბინავებას შეუდგა. სათემო აღმასკომები ენერგიულად მუშაობენ, შესაფერ აგიტაციას ეწევიან და იმედი აქვთ. რომ წელს გადასახადი სრულად იქნება აკრეფილი. აღსანიშნავია, რომ ხალხის ფხიზელ თვალს ვერც ერთი მდიდარი და ჩარჩი ვერ გაუსხლტა და მათ შეწერილი აქვთ შესაფერი გადასახადი.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქვედა ბორჩალო ძალიან მოსავლიანია და იგი მთელი მაზრის ბეღლად ითვლება. აქ თუ დღემდე სათანადო ნაბიჯები არ იყო გადადგმული მხოლოდ იმიტომ, რომ ამ რაიონში დამპალი ციება მძვინვარებს, რომლის შიშითაც ივლისსა და აგვისტოში ხალხი გახიზნული იყო. სექტემბრის 15 დან კი ეს ხალხი თავის კარ მიდამოს დაუბრუნდა, რაიც საშუალებას იძლევა, რომ აქ საგადასახადო მუშაობა მოკლე ხანში განვითარდეს.

ზემო ბორჩალოში, რომელსაც შეადგენს ნაწილი ლიუქსემბურგის რაიონისა და მთელი ბაშკიჩეთის რაიონი, მოსავალი გვიან მოდის, რის გამოც მოსახლეობა მხოლოდ ახლა შეუდგა მის დაბინავებას. როგორც სათემო აღმასკომები იტყობინებიან, ზოგიერთ რაიონში სასურსათო გადასახადი უკვე აკრეფილია სრულად.

გადასახადის აკრეფა კარგად მიმდინარეობს ქ. შულავერში. სადაც უკვე შეგროვილია 2.402 ფ. ხორბალი. ამ ქალაქს სულ შეწერილი აქვს 5.073 ფ. ხორბალი და იმედია, რომ სექტემბრის დამლევს მთელი 100 პრ. იქნება გადახდილი. ხოჯორის თემმა ერთი სოფლის გამოკლებით მთლად გადიხადა მასზე შეწერილი გადასახადი. ტრაუბენბერგის ახალშენმა აგრეთვე შეიტანა მთელი 100 პროც. სამი დღის განმავლობაში. არის სოფლები, რომელნიც ამ მაგალითს მისდევენ.

სულ რამდენია შეკრებილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ მიღებულ ოფიციალური ცნობებით სექტემბრის 20-სთვის აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებში, სადაც წრევანდელ სასურსათო გადასახადის აკრეფა სწარმოებს, შეგროვილია:

მაზრები:	რამდ. აქვს შეწერილი 1922წ.	რამდენია აკრეფილი	აკრეფ. რაოდ. %
1. გორის მაზრა	10,000	82 000	82
2 თელავის მაზრ.	60.000	36,180	60,3
3. სამხრ.-ოსეთი	20.000	9.762	48,8
4 ტფილ. მაზრა	70.000	29.500	42,1
5. სიღნ. მაზრა	100 000	40.303	40,3
6. დუშეთ მაზრა	35 000	11.566	33,0
7. ახალც. მაზრა	60.000	14.749	24,5
8. თიანეთ. მაზრა	20.000	3.608	18,0
9. ახალქალაქ. მ	40.000	3.834	9,5
10 ბორჩ. მაზრა	80.000	5.067	44,4
სულ აღმოსავლეთ საქართვე-ში	585 000	236.569	44,4

ქრონიკა

◆ **თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ინსტიტუტში.** ამ ჟამად საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის საწარმოვო განყოფილების თვალსაჩინო სახელმძღვანელოების ინსტიტუტში დასრულდა მთელი წარმოების მექანიზაცია.

◆ **ცარიელ ადგილების აღრიცხვა.** მიწის განყოფილების მიწის მზომელ სექციამ ქალაქის ფარგლებში მოახდინა ცარიელ ადგილების აღრიცხვა, რომელიც მიეცემათ კერძო პირებს იჯარით.

◆ **სახ. კომისარიატების და დაწესებულებათა შემჭიდროების შესახებ.** საუწყებათა შორისო ხუთეულმა, რომელსაც დავალებული აქვს სახ. კომისარიატების და დაწესებულებების დათვალიერება, შემჭიდროების მიზნით დაათვალიერა ყოფილი კადეტის კორპუსის შენობა.

— იმავე კომისიამ დაადგინა დაიწყოს 21 სექტემბრიდან დაწესებულებების დათვალიერება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი პრინციპიალურ თანხმობას აცხადებს საქ. კომ. პარ. რაიკომების და ახალგაზ. კომ. კავშირის საერთო შენობაში მოთავსების შესახებ.

◆ **დათხოვილ წითელ არმიელებისათვის სამუშაოს მიცემა.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა მისცეს დათხოვნილ წითელ არმიელებს სამუშაო ყოველ რიგს გარეშე.

◆ **ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდში.** ტფილისის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად: 1. ქ. ჩხენკელისაგან—500.000 მან. 2. მე 3 რაიონის კომპ. კომიტეტისაგან—2.350.000 მ. სულ 2.850.000 მ.

◆ **ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდი.** ვინაიდან მთელი თანხა ამხ. კამოს სახელობის საბავშვო სახლის ფონდში შემოსული გროვდება თბილისის აღმასკომის ხელში, უკანასკნელის პრეზიდიუმი სთხოვს ყველა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, რომელნიც ასე თუ ისე აწარმოებენ ფონდის სასარგებლოდ ფულის შეკრებას, წარმოადგინონ შეგროვილი თანხა ქალაქის აღმასკომში.

◆ **მედიკური დახმარება უმუშევრებთ.** შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიამ უმუშევართა მედიკური დახმარების საკითხი გადასცა დამზღვევი კასის საბჭოს.

◆ **კამოს სახელობის საბავშვო სახლი.** უკვე გაიხსნა და სწარმოებს ბავშვების მიღება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალ სასწავლო წლისათვის
ა გამოუშვა თვალსაჩინო
ვანელოებას და ძალი ასორ-
სახალხო განათლების კომისა-
შეუკვეთა 15 მილიარდის
ლის ნიშნ.) მანეთის სა-
ანელოები, არამიამ 100 მა-
ქროთი. სწარმოებს მოლაპა-
და წარდგენილია მილიარდ
ხარჯთაღრიცხვა.
ლისოა აღვნიშნოთ, რომ
ნო სახელმძღვანელოების
უს შეკვეთები მოდის არა
საქართველოს დაწესებულე-
, არამედ მეზობელ რესპუბ-

ლიკებიდანაც და აგრეთვე საბჭოთა რუსეთის შორეულ გუბერნიებიდან, ასე მაგ. ვიატკის საკომანდო კურსებმა გამოგზავნეს შეკვეთა.

ამ დღეებში აზერბაიჯანის რესპუბლიკას ჩააბარებენ 2.000 მანეთი (ოქროთი) შეკვეთილ სახელმძღვანელოებს.

◆ **ზემო ავჭალის ელექტრონის სადგურის აგება.** გიდრო სადგურის გამგე და ზემო ავჭალის სადგურის აშენებისთვის მუშაობის ზედამხედველი ფირალოვი 17 სექტემბერს სარწყავ და სადგურის აგების პროექტით გაემგზავრენ მოსკოვში.

ხელოვნება

ლიტოგრაფიო მუშაობა საქ.
ო აკადემიაში. აკადემიას-
ბულ სალიტოგრაფიო გან-
აში უკვე დაიწყო სალიტო-
მუშაობა.

ვის მასწავლებელთა კურ-
იდინარე წელს განზრახულია
ო საპედაგოგიო კურსების
ხატვის მასწავლებელთა მო-
ლათ, რადგანაც ამ ჟამად
ა საშუალო სასწავლებლებ-
ს მასწავლებლებათ არიან
მოკლებულნი.

ამზადებელი კურსები. გარ-
ფაკულტეტისა, აკადემიას-
ობს მოსამზადებელი კურ-
ემიაში გადასასვლელათ.

ართველოს სამხატვრო აკა
ახალ შენობაში. რადგანაც
მხატვრო აკადემია იმყოფება
სრულიად უვარგის შენობა-
ტომ აკადემიის პროფესორთა
მიერ მიღებულია სათანადო
აკადემიის ახალ ბინაზე გა-
ად.

მთრის სეზონი. სამხატვრო
ში სტუდენტებისაგან თხოვ-
ლება 1 ოქტომბრიდან. გა-
ი ყველა ფაკულტეტზე დაი-
1 ნოემბრიდან. სწავლის ფუ-
ოდენობა ცალკე იქნება გამო-
ული.

კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექ-
წიგნები. იბეჭდება და ოქტომ-
გამოვა პოეტი კონსტანტინე
ძის ლექსების ორი წიგნი. მეო-
ში შევა პოემა „მოგზაურო-
ებით", რომელიც დაბეჭდილი
„ბახტრიონში".

ხიობ ნ. ციციშვილის გარ-
ება. სამშაბათს, 19 სექტემ-
ბილისში გარდაიცვალა ქარ-
ცენის მსახიობი ნ. ციცი-

ლამო კონსერვატორიაში.
27 სექტემბერს სახელმწიფო
ატორიაში, სრ. საქართველოს
ა კავშირი გამართავს საღა-
ყვები: ლეო ქიაჩელი—რო-
ანის ჟან კრისტოფი. კონ-
ე გამსახურდია—სტეფან გე-
ლექსები: კ. მაყაშვილი, ი.
ილი, ობოლი მუშა, მარიჯან,

ტერენტი გრანელი. მოთხრობები და მინიატიურები: ვასილ ბარნოვი, ია ეკალაძე, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია, მიხ. ბოჭორიშვილი და სხვა.

— **ბლიუმენტალ თამარინის ბენეფისი.** შაბათს, 23 სექტემბერს, რუსთაველის თეატრში, რუსეთში გამგზავრების წინ გაიმართება ბლიუმენტალ-თამარიანის გამოსამშვიდებელი ბენეფისო გასტროლი. წარმოდგენილი იქნება სენკევიჩის რომანიდან „ახალი ქვეყანა". პიესას დადგამს ა. ა. ტუგანოვი.

— **ოლგა იასნაია თბილისში.** თბილისში ჩამოვიდა რუსული სიმღერებების ცნობილი აღმსრულებელი ოლგა იასნაია. იასნაია დიდ შაბეჭდილებას ახდენდა როგორც კულტუროსანი და მხატვრ. მომღერალი, რომელსაც აქვს თავისუფალი მხატვარის სახელი. ამ დღეებში გაიმართება მისი კონცერტი სოვპროფის დარბაზში.

◆ **პოლიტიკურ-განათლების მთავარ სამმართველოში.** საბიბლიოთეკო საქმის შესასწავლად და ამ სფეროში პრაქტიკული მუშაობისათვის **პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოს სკოლის გარეშე მუშაკთა სახლის საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული კაბინეთი,** 26 მაისს საღამოს 6 საათზე ხსნის ეპიზოდიურ კურსებს შემდეგი პროგრამით:

1. საბიბლიოთეკო საქმის ძირითაროლი და ბიბლიოთეკების სოციალური მუშაობა. სოციალური დი ამოცანები. წიგნის სოციალური აღზრდა. პირდაპირი პრაქტიკული დახმარება წიგნით მცხოვრებლებს ის საქმეებში და გაჭირვებაში. მთავარი პრაქტიკული მიზნები სოციალური მუშაობისა ამ ჟამად.
2. მიზიდვა და გაცნობა მკითხველების. საპლაკატო საქმე.
3. მეცადინეობა წიგნით.
   ა) მეცადინეობა ბელეტრისტიკაში.
   ბ) მეცადინეობა სამეცნიერო-პოპულიარულ წიგნებით.
   გ) მეცადინეობა საქმიანი წიგნით.
   დ) მეცადინეობა პოლიტიკური გათით და ბროშურით.

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს, 22. სექტემბერს

ერთიან პარტიულ დღეს

დასვან დღის წესრიგში:

1) პარტიის წესდება.

მასალებად გამოყენებული იქნეს ახალი წესდების პროექტი, რომელიც დაურიგდა იაჩეიკების პასუხისმგებელ ხელმძღვანელებს.

2—2 თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ **რუბენი.**

ორშაბათს, 25 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ზუბალაშვილის სახალხო სახლში გაიმართება

ქალაქ ტფილისის მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს კომფრაქციის სხდომა

საბჭოს ყველა კომუნისტ-წევრთა დასწრება სავალდებულოა.

(3—1) **საბჭოს ფრაქციის ბიურო.**

განცხადება

ის ამხანაგები, რომელთაც სურთ შევიდენ მუშათა ფაკულტეტზე არა უგვიანეს 22 სექტემბრისა უნდა გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში ანკეტის შესავსებად და განცხადების წარმოსადგენად.

იმ ამხანაგებმაც, რომელთაც უკვე შეიტანეს განცხადება მუშათა ფაკულტეტზე ჩარიცხვის შესახებ, აგრეთვე უნდა შეავსონ ტ. კ. საგიტ.-საპროპაგანდო განყოფილების ანკეტები.

მეცადინეობა იქნება რუსულ და ქართულ ენებზე.

3—3 ც. კ. საგიტ. საპროპაგანდო განყოფილების გამგე—**ესხენი.**

კვირას, 1 ოქტომბერს, დილის 10 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის ბინაზე (კირკის და კამოს ქუჩების კუთხეში) გაიმართება

თათბირი

კოოპერაციის იმ მუშაკთა, რომელნიც გატარდენ რეგისტრაციაში საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტში.

დღის წესრიგი:

1) კოოპერატიული პოლიტიკა სრულიად რუსეთის პარტიულ კონფერენციის თვალსაზრისით, 2) კოოპერატიული პოლიტიკა საქართველოში და პარტიის მომავალი ამოცანები. დასწრება ყველა ამხანაგებისა, კოოპერაციის მუშაკთა, რომელნიც ჩაეწერენ ტფილისის კომიტეტში სავალდებულოა.

(3—1) ტფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

მარტვილის რაიონი
(სენაკის მაზრა)

ა. | წ. ივნისის თვიდან მარტვილის რაიორგანიზაციას დაეტყო თანდათანობითი სისუსტე, მოსალოდნელი იყო ორგანიზაციის ძალზე დაზიანება: მიზეზი ამ მოვლენისა იყო: ყანის მუშაობა, შიმშილი პარტ-მუშაკების მობილიზაციით ჯარში გაწვევა და რაიკომის შტატის შემცი-(მარტო მდივნის დატოვებით). როდესაც მდგომარეობა შეიცვალა (აქ იგულისხმება საყანე მუშაობის დათავება და სიმშილის, განელება) რაიკომის პლენუმის სხდომაზე ა | წ: 16 აგვისტოს იქნა გამოძებნილი სათანადო წამალი ორგანიზაციის განსაკუთრებულათ ე. ი. პარტ-კამპანიის ჩატარება ორგანიზაციის გასაღრმავებლათ, რომელსაც შეუდგა რაიკომის მდივანი თემების მაშტაბით 23 აგვისტოდან და დაამთავრა 31 აგვისტოს. კომპანიის ჩატარების დროს ისმებოდა დღიური წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. მიმდინარე მომენტი, 2. პარტ-მუშაობის გადასინჯვა, 3. პარტ-რიგებიდან მავნე ელემენტების გაძევება, 4. ორგანიზაციული საკითხი, 5. სამი სექტემბრის მნიშვნელობა და კომისიის არჩევა, 6. კომუნ. ერთი ერ დამხმარე კომისიის შედგენა, 7. ალმასკომის მუშაობის შესახებ. 8. ახალი თემკომების არჩევა (3 კაც.)

კამპანიის ჩატარებამ მოგვცა მეტად ნაყოფიერი შედეგი: 1. პარტიიდან იქნა გარიცხული მეშჩანური ელემენტები (რომლებიც ხელს უშლიდნენ პარტ-ორგანიზაციას მის განმტკიცება-გაღრმავებაში) გადარიცხულ იქნა კანდიდატათ 1 ამხ. და მიეცა გაფრთხილება პარტ მუშაობისადმი გულგრილობის გამო 9 ამხანაგს. 2 ყოველივე დეფექტები გაუგებრობის ნიადაგზე, რომელიც ხშირი მოვლენაა ორგანიზაციაში იქნა თავიდან მოშორებული. 3. არჩეულ იქნენ ახალი ენერგიით აღსავსე პარტ-მუშაკები პარტ აპარატებზე, ორგანიზაციაში მუშაობის გასაღრმავებლათ.

ყველა ზემოდ ნაჩვენები საკითხების ამოწურვით რაი-ორგანიზაციამ შეძლო გაეფანტა ყოველივე გაუგებრობა როგორც მის რიგებში, ასევე მის გარეშე და სათანადო სიმაღლეზე დადგომა.

ი. მონიავა.

წყალდიდობა გურიაში

გურიის და განსაკუთრებით კი ოზურგეთსა და მის არე მარეს მცირე ხნის განმავლობაში ბევრი გაჭირვება უნახავს, მაგრამ ყველა ძველი უბედურება-აწიოკება 7-8 სექტემბრის უბედურებასთან აჩრდილია. 7 სექტემბერს საღამოს დაიწყო კოკისპური წვიმა, სულ ადრე, შუაღამემდე მდინარეებმა კალაპოტი გადმოხეთქეს. მიმართულება იცვალეს და წალეკა არე-მარე. სურათის საშინელებას სუსტი კალამი ვერ აღწერს.

ყანები სანახევროდ აღარ არის გზატკეცილები მოსპობილია, ტელეფონ-ტელეგრაფის ბოძები წაქცეულ-წალებული, მიმოსვლა შეწყვეტილი, წისქვილები დასილული ან წალეკული. წარღვნის სურათია მთელ გურიაში, უბედურება კიდევ იმაშია, რომ საკმარისია ოდნავ ადიდდეს მდინარეები და კვლავ ჯოჯოხეთი დატრიალდება კიდევ მეტის სიძლიერით.

მე უფრო დაახლოებით ვიცი ოზურგეთის არემარის სურათები და დაწვრილებით ჯერჯერობით მხოლოდ ამ კუთხეს შევეხები. ჩინებული ყანები, უკვე სიმწიფეში შესული იშვიათ მოსავალს გვიქადდა. მთელი გურია და მისი მთავარი ძარღვი დიდა ქალაქი ოზურგეთი გატაცებით მუშაობდა ნატანებ ოზურგეთის რკინის გზის აგებაზე. მუშები სიმღერით იხდიდენ ნებაყოფლობითი ბეგარას. მომავლის იმედით ყველა ღიმებოდა, შიმშილის შიში აღარავის ჰქონდა.. მაგრამ ბუნებამ სულ ერთიანათ მოსპო ყველაფერი ეს. მასთან ერთად სწორედ ის ყანებია განადგურებული, სადაც მუშა ქცევიდან 60-80 ფუთს ელოდა. ზარალის აწერა, მისი გამოკვევა შეუძლებელია...

დიდი ხანია ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს აფრთხილებდენ ქ. ოზურგეთის ქირისუფლებს, რომ მას წალეკს მდ. ბჟუჟი და ნატანები, თუ დამბა არ გაკეთდა, მაგრამ სანამ ფაქტის წინაშე არ დაგვეყენა სტიქიამ, მანამ ყურადღება არ მივაქციეთ. ხსენებულ ღამეს ერთიცა და მეორეც საშინელი სიძლიერით ეკვეთა ოზურგეთს მისი მთავარი (ქუთაისის) ქუჩით.

ჩოჟუმა გადმოხეთქა შემოქმედში ჯვარის დუქნებთან, ნატანებმა გურიის ერთ-ერთ კოპწია მდიდარ სოფელ უჩხუბში—ოთხი მოსახლის მთელი ავლადიდება წაიღო. სხვები კი ახლა იყრებიან, შლიან ისედაც დაშლილ სახლ-კარს და სხვაგან სახლდებიან.

საბედნიეროთ ორივე მდინარე ქ. ოზურგეთს ერთად შეერთებული არ მოსდგომია არამედ ჯერ ბჟუჟი და მერე ნატანები, თორემ ორივე რომ ერთად მოსწოლოდა ოზურგეთი—ბაზარი სულ წაილეკებოდა, მთელ ბაზარს დაანგრევდა. მსხვერპლი (კაცის) მაინც იქნებოდა, რომ მილიციას (რაიონისას) და წითელ არმიელ რუსებს თავი არ გაეწირათ. მთავრობაც ფხიზლად იყო, განადგურებულ ქონებისა და ყანების მთლად გაპარტახება ქურდ ავაზაკებს არ დაანება. ბათუმიდანაც ძლიერ ადრე მოგვეშველენ პურითა და წამლებით, რამაც ხალხი დიდათ გაამხნევა...

ყოველივე უბედურება ბევრჯერ ბედნიერების შემოქმედია. ახლაც ასე უნდა მოხდეს. მთის გიჟი მდინარეები სხვაგანაც არის, მაგრამ იქ ხალხი ტყეს უვლის, მდინარე კალაპოტით შებოჭილი აქვს, ჩვენც ამასვე უნდა შევეცადოთ, ბერებისა და ხუცების ზღაპრები კი არას გვიშველის. ტყეების დაცვა, ნაპირების გამაგრება, კალაპოტის გაფართოება გაწმენდა აი რა გვიშველის. ამ მხრითაც დიდი მუშაობა სწარმოებს, მაგრამ საჭირო ცემენტს ხალხი ვერ შეიძენს თუ უმაღლესი მთავრობა არ დაგვეხმარა. გურიის დამშეულთა კომიტეტიც ენერგიულად განაგრძობს მუშაობას, მაგრამ საჭიროა მას ყველა მხარში ამოუდგეს, ყველამ თავისი წვლილი გაიღოს და დახმარება დაზარალებულს მიეცეს და არა შედარებით შეძლებულს. საჭიროა მთებში გაიგზავნოს ძლიერ პირები, რომლებიც შეამოწმებენ, მართალია, თუ არა ის ხმები, რომ ბევრ ადგილას დიდი ზვავებია ჩამოწოლილი. თუ ეს მართალია, საჭიროა დაუყონებლივ ზომების მიღება, თორემ ვიმეორებ უარესს უნდა ველოდეთ. ნურავინ მოერიდება ხალხის სამუშაოზე გამოყვანას, მაშინ, როცა ხალხისავე სასარგებლო საქმე კეთდება—დაუზარალებელი მეტად უნდა დაიბეგროს და მუშაობაც მათ მეტი უნდა შეხვდეს.

მოკეთე.

პატარა ფელეტონი

ელლიადა

ელლინთ მეფე, კონსტანტინე, საომრათ გადიჩაჩხა,
შეაგროვა ხომალდები და შიგ თავის ჯარი ჩასხა,
ეგეოსის ზღვას შესცურა და სმირნაში გადმოასხა;
ეს რომ ქემალმა გაიგო სიმწრის ოფლმა მას დაასხა.

სახელოვანი ბერძნების უსახელო მემკვიდრეებმა
გადასწყვიტეს ოსმალებთან სამკვიდრო-სასიცოცხლო შებმა;
ბრძოლის პირველ დასაწყისში იმათ გაუღიმა ბედმა:
ვერ მოღალა მათი წინსვლა ვერც მინდორმა და ვერც ქედმა.

ვინ უწყის სად მოიპოებს, ან დაჰკარგავს თუ რას სადა,—
საბერძნეთის გამარჯვებამ ბევრს სხვებს გაუღვიძა მადა.
„ბერძნებს ჩვენ თანაუგრძნობთო"—დაშნაკებმა განაცხადა;
მენშევიკების პარტიამაც იმათ მაღალითს წაჰბაძა.

მარტოდენ ბოლშევიკებმა არ აჰყვნენ სხვების ფეხის ხმას:
არ თანაუგრძნეს ბერძნების ოსმალოებზე დავდასხმას;
განსაცდელის დროს ყარდაშებს აწვდიდენ მეგობრობის ხმას
და ანელებდენ ანთრობოსით გაზვიადებულ გულის თქმას.

სწორეთ ამის შედეგია, მოწამე ვართ ჩვენ დღეს რისა:
ასკერებმა ტყვეთ ჩაიგდეს თვით სარდალი ტრიკუპისა;
მის მაგივრობას ასრულებს ვინმე პოლამენაკისა,
რომლის ნახვა ბრძოლის ველზე ბერძნების ჯარს არც ეღირსა.

წამხდარი საქმის საშველათ მოიწვიეს მეტაქსისა,
მაგრამ მეფე კონსტანტინეს იმედი აქვს არც იმისა,—
ამიტომ ის დაჩქარებით ათენიდან მიილტვისა,—
შინაგან საქმეთ მმართველათ მან დასტოვა პუსონისა;

ერთი მხრით მას მოუყენა, სიმაგრისთვის, ტესმოკისი,
მეორე მხრით სტერკიადი და გარშემო: დუსმანისი,
ტეოტოკოს, კალეგოლოს, ფილაკოს და ტაკსინისი,
მაგრამ ოსმალთ მაინც მიაქთ, რაც რომ იყო წინეთ მისი.

ამრიგათ მეტიჩარ ბერძნებს საქმე მოუხდათ საჯაყი:
წალდუნა წყალს გაატანეს—ზედ მიაყოლეს ნაჯახი,—
სხვისი სიკეთის მოშურნეთ თავზე დაექცათ ოჯახი.
ანტანტას კიდევ გაუჩნდა საქმენი თავის საჯახი.

ხ. თ—ია.

ცხოვრების გზაზე

(დასასრული. იხ. „კომუნისტი" 216)

5.

ივართ!..
ავ მე, როგორ იპყრობს ეს
ობა მთელ მიდამოს თან და
გი არ ტოვებს დედამიწის „მი-
ულ", პატარა, უმნიშვნელო
საც კი..
მის წივილ-კივილი. .
ანან შეწუხებული, მომაკვდავი
ნების საშინლათ დაღრეჯილი
..
ნელზე საშინელი სურათები
ჩემ წინ თან და თან და მაგ-

ას მოასწავებს?..
უ ასე გულქვა ვიქეცი!?.
ავ ამ საშინელ სურათებს, მა-
ან ვგრძნობ, რომ იგი ოდნა-
არ მაწუხებს; გამქცევი ადა-
ს შეშინებული სახე წარბსაც
რის. პირ იქით მიხარია; სია-
ვებები მას... თითქო შვებას
ოვებულიყავ... ამ ტირილ ყვი-
და აყარება მსხვერპლებში
სიცილის, მხიარულებისა და
ბის დაბადებას ველოდე...—
ომ არის ეს ასე?
ალური ადამიანის სულის სა-
ი ხომ არ დავკარგე?..—
უობ ჩემს თავს, რომ არა. არ
რგავს, რადგან იმ ჩემს ირგვ-
ოფ ადამიანებშიც ამასვე ვხე-

ესმის კვლავ წივილ-კივილი,

ედავ მე, როგორ მოუახლოვ-
ამოსროლილი ტალღა იმ გან-
თ... წამი, და შიგ მოიქცია
ი თავიანთ სახლ-კარით, პაწიე-
დიდებით... ზოგი მოსპო,
რიყა მან. ზოგნი კი თავის
ბს შეუერთა, წინ გაიყოლია.
ა?—
ს ნიშნავს?..
უ არ ჩევს ადამიანებს!?.—
ვხედავ, როგორ ამსხვრევს,
თავის ტალღებში ახოვანს, გა-

რეგნულ შეხედულებით ძლიერ ადამიანებს; ხოლო სუსტებს, უფრო გამხდრებს კი პატარა ტანჯვის შემდეგ წინ იყოლიებს...—

რით უნდა აიხსნას ეს?—ვკითხულობ მე.—

„ჩემი ძლიერების შეგნებით; ჩემი იდუმალებათა გაგებით, შესწავლით... პირველნი ეწინააღმდეგებიან ჩემს ტალღებს, ხელს უშლიან ჩემს მავლელობას, მებორძიკებიან, ცდილობენ გვერდი ამიარონ, უკან წამოვიდენ; არა სურთ მათ ჩემს ნებას, ჩემს ძლევა მოსილებას დაემორჩილონ; ხოლო უკანასკნელნი კი ჩქარა მიაგნებენ, მითვისდებიან; უშიშრათ სწყვიტენ ისინი კარზე მომდგარ, გარდამქნელ ტალღებში ჩარევას,—წინ სიარულს".

—ამ პასუხს ვკითხულობ მე თითქო ტალღების გამძვინარებულ ქახაქუხში.

... აი ვხედავ მე აზვირთებულ ტალღების წინ ნაპირთან მცოცავ, აყარებელ ადამიანებს; ზოგ მათგანს ხელები ამაოთ გაუშვერია მომჩქეფ სანახაობისაკენ და თითქო ვილაცეებს სთხოვენ,—შეაჩერონ ეს მომსპობელი, აზვირთებული ტალღები, იხსნან ისინი დალუპვისაგან; ზოგ მათგანს ჩალაფიჩხები დაუჭერიათ ხელებში, საწყლათ ნაპირისაკენ მოდიან და თითქო ცდილობენ კედლები გაავლონ ამით ნაპირთან, რომ შემდეგ ტალღებმა ვერ შესძლონ გადმოხეთქა... და ბოლოს ერთი ყველაზე მოზრდილი ნაწილი მათ შორის სრულებით არ ფიქრობს საწინააღმდეგო ნაბიჯის გადადგმას; პირიქით ისინი მორჩილებით და ხალისით ეგებებიან ტალღებს, იწყებენ მათთან ერთად სიარულს.

.. და მე მივყვები ტალღებს ჩემს ირგვლივ მყოფ უამრავ თანამგზავრებთან ერთად; ტალღების დახმარებით, ტალღებთან ერთად ვარღვევთ ჩვენ იმათ გაკეთებულ უსუსურ კედლებს; ოდნავათ არ ვჩერდებით,—მივისწრაფით წინ, წინ!

...ოოო ეს რა საშინელება!!!—

ჩვენ და იმათ შორის ბრძოლა, საშინელი ბრძოლა იმართება; ტალღები ადამიანების სისხლით იღებება.

...იმათ ჩვენ, ჩვენ დაუსახავთ ამ **სანახაობის** წარმომშობ მიზეზათ და ჩვენთან ბრძოლის წარმოებით, ჩვენის შემუსვრით ცდილობენ თითქო მათ განმანადგურებელ, მომსპობელ ტალღების შეჩერებას, მაგრამ...

მე ვხედავ, რომ ისინი ჩვენ ვერაფერს ვერ გვაკლებენ მაინც. პირიქით მეტად, მეტად იცლებიან ამ ბრძოლაში თვით... ჩვენ მათ არ ვეპუებით; ჩვენ ისევ უშიშრათ და სიხარულით მივქრივართ წინ და თან ვიძახით: „ვერა, ვერ შეაჩერებთ! მაინც ივლის! ჩვენც, ჩვენც იმისი შვილები ვართ... უკვალოთ შთაინთქებით ჩვენთან ამაო ბრძოლაში!"

...და აი ამ დროს თითქო ელვამ დაჰკვეხა; მიმოფანტა მან ჯანყ-ბურუსი.

მალე, ჰორიზონტზე გამოჩნდა მოსიყვარულე, თბილი, მედიდური, მზე; თავისი მწველი, მაცოცხლებელი სხივები უხვად გადმოისროლა მან სამყაროსაკენ...

ვხედავ მე აზვირთებულ ზღვათ გადაქცეულს თვალ უწვდენელ სივრცეს, რომელშიც ჩაცურებულა ყოველი არსი...—

ეს რაღა არის?..

ყოვლის შემძლებელი!!.

ნუ თუ მე, მარტო მე ვხედავ ამას!?.—

...აი წინ, ცის სარტყელის მზგავსათ მოსჩანს ამ ზღვიდან ჰაერში, ცის ტატნობამდის აწვდილი ეკრანი,— პროჟექტორის ნაცვლათ ზეთ მზის სხივები დათამაშობენ...

მე იქ ვკითხულობ აი რას:

„...ჩემი განუყრელი შვილები ხართ თქვენ ყველა —ნუ გამირბიხართ, ჩემი ნუ გეშინიათ!. თქვენც იქ, იქ იქმნებით სადაც მე ვარსებობ... თქვენ ჩემს გულში იშვით, მაგრამ თქვენ ჩემთვის კი არა ხართ, პირიქით მე, მე ვარ თქვენთვის დანიშნული... ყველაფერი თქვენთვის არსებობს, მეც! მაგრამ აქ ამას ისე ნუ კი გაიგებთ, რომ მე თითქო თქვენით ვარსებობდე, თქვენს ნებას ვეყრდნობოდე, პირიქით თქვენ,—გესმით?—თქვენ არ სებობთ ჩემით, თქვენ უნდა დაემყაროთ ჩემს ნება-სურვილებს...

მე მუდამ მივდივარ ხოლმე. მე მოსვენება არ ვიცი. ჩემს სიარულს დასასრული არა აქვს,— ველები გარშემო იმ სამყაროს, სადაც ჩემი მუდმივი ბინა არის და თქვენ არსებობთ. ვრწყავ, ვანოყიერებ, სიცოცხლეს ვდგამ მასში, გაახალგაზრდავებთ, ნეტარ მდგომარეობას გიქმნით თქვენ... ყოველი ჩემი ნაბიჯი წინ გადადგმული, თქვენს არსებობაში ქმნის ახალ ახალს, უკეთეს ხანებს...

.. რა გიყოთ, რომ ეს გადადგმული ნაბიჯები,—ახალ ხანებში შესავლელი მსხვერპლს თხოულობს, მსხვერპლს უმანკოს. ეს გადაულახველი კანონია ჩემი არსებობის და თქვენი შექმნის.. აი იქ, გაშლილ ველ მინდვრებში, ჩემს ტალღებთან თამაშში იშვება ხოლმე ჰეშმარიტება; აი იქ, მის სიმკაცრესთან ბრძოლა, ამ ბრძოლაში გამოწვეული ტკივილები შვებს ხოლმე თქვენს ნეტარებას...

მე უკვდავი ვარ, მაგრამ ასევე უკვდავი ხართ თქვენც, რადგან ჩემი უკვდაობიდან გამომდინარეობს თქვენი უკვდაობაც... თქვენ მანამდის ხართ, სანამ მე ვარსებობ; ხოლო მე კი მუდამ ვარსებობ, ამიტომ თქვენც მუდამ, მუდამ იქმნებით.

...მუდამ ვმოძრაობ, მუდამ მივისწრაფვი მე; მე არც ერთ წუთს არ ვიცი შეჩერება, მოსვენება. ამიტომ თქვენც ასე გამუდმებით უნდა იმოძრაოთ, იმოქმედოთ!

...არის ხოლმე განსაკუთრებული ხანები კიდევ ჩემს არსებობაში, როცა საზღვრებს ვშორდები, ერთი ათასათ ვმძვინვარებ, არ ვიბრალებ არაფერს, ვლეწავ, ვმუსრავ ყველაფერს,—ძველი, ობმოკიდებული ჩემი არსებობის ფორმები თქვენ მიერ გაკეთებული ერთბაშათ მინდა ვლეწო, წავრეცხო..

ამას იწვევს შემდეგი გარემოება: ბევრი თქვენთაგანი მე არ მკითხულობს, გვერდს უვლიან ჩემი განვითარების რკინის სურვილებს და ასე უკითხავათ ცდილობენ ჩემს მითვისებას, ჩემს მისაკუთრებას. ჩემთვის კი „შენ" არ არსებობს, არსებობს მხოლოდ „თქვენ"... და ვინც ამას ანგარიშს არ უწევს, ისინი მე ჭრილობას მაძლევენ; ისინი ჩემი სხეულის დანაწილებას ცდილობენ...

მე ვიცი ხოლმე ერთხანს თმენა, ლოდინი იმისი,—გამოირკვევიან თუ არა! შეიგნებენ შეცდომებს თუ არა!— და აი, აქ, როცა ვხედავ ხოლმე წინა აღმდეგს და მაცდევინებს იგი ტაკვილებს,—ამის ნებას მე მათ აღარ ვაძლევ.. მე ძლიერი ვარ! მე ვიმყარები ჩემი არსებობის რკინის კანონებს!..

...ბოლმით სავსე ერთბაშათ შევინძრევი ხოლმე, დავიტაკები ჩემი გულუხვობის ბოროტად გამომყენებელ „მოწინააღმდეგეებს",—არავის, არავის არ შევიბრალებ, მოვსპობ!!!

...და აი, სწორეთ, ეხლაც ამ მიზეზით არის გამოწვეული ეს **სანახაობა**! გიკვირთ?!.

მე...—ეს ხომ თქვენი ცხოვრება არის!!!

აი, ეს ცხოვრება თქვენ გეუბნებათ: შემიგნეთ! შემომიერთდით და ვიაროთ ერთად წინ წინ!!!

6.

სინემატოგრაფი გათავდა...

ჩამოიხსნა ეკრანი...

ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, მიხარია მე, რომ ცხოვრების საიდუმლოება ამხსნა.. და მინდა გაუზიარო ეს ჩემს ირგვლივ მყოფ, ჩემს მრავალ რიცხოვან თანამგზავრებს, მაგრამ მათ ხმას ვერ ვაწვდენ; არც ისინი ცდილობენ ყურადღების მოპყრობას.. მათაც ისე დაუნახავთ იგი თითქო, როგორც მე... ისინი ერთობ ჩაბმულნი არიან ბრძოლაში... არ არის დრო მასჯელობის, ლაპარაკის.. ყველანი უხმოთ, ულაპარაკოთ ღებულობენ ცხოვრების ნაკარნახევს.

მივდივართ ჩვენ წინ ისევ..

არის შეხლა-შემოხლა, უკან მომავალ და წინ მიმავალი ადამიანების შეხვედრა... ადის ჰაერში ბრძოლის ალმური... საშინელ ტკივილებს აქვს ადგილი, საშინელი წივილ კივილი მოისმის..

აი მომხვდა ვიღამაც,—ალბათ იდგა, ან უკან მოდიოდა,—გზა გადამილობა, შემანძრია...

ოოო, საშინელებავ!—

რაღაც მძიმეს და მჭრელს საშინლათ ვსცემთ ერთ მანეთს...

სასიკვდილო ჭრილობას ვიძლევით...

აი მომხვდა მკერდში რაღაც, სული შემეხუთა, წავფორხილდი; მაგრამ ისევ წამოვდექი ზეზე სწრაფად.. უვნებელი ვარ...

ჩემი მოწინააღმდეგე, ჩემი მოპირდაპირე მტერი კი, ჩემგან უსიცოცხლოთ ქმნილი დევს ჩემს წინ...

ოოო! მე! მე კაცის მკვლელი!!!

რა მძიმე, უზადავი დანაშაულობა არის ეს!?.

ყოვლის შემძლებელო!..

არა! რათ, რათ შემომაკლა საბრალომ თავი!??

მე ხომ არ მწყუროდა ადამიანის სისხლი?!.

განა ცხოვრება, რომლის გზას მე გავყევი, რომლის მოუსვენარ მებრძოლ ტალღებს მე შევუერთდი და ომს, გარდამქნელ ომს ვეწევი,—ჩემთვის მარტოდ, საკუთრათ ჩემთვის, ჩემთვის მინდა?!.

განა მე დანაშაული ვარ იმაში, რომ შევისწავლე მდინარის კანონები, შევესისხლხორცე მის ტალღებს, დაუმორჩილე თავი მის ნებას??.

...ეს ხომ თითონ ჩემი ბუნებაა?!.

7.

თავბრუ მესხმის..

თითქო მინდა გავეცალო ამ „ცოდვის" ადგილს, მაგრამ ნაბიჯი ვერ გადამიდგამს; მინდა ვიყვირო კიდეც, მაგრამ ვერ ამომიღია ხმა...

ვხედავ მე, ისინი,—ჩემი თანამებრძოლი ადამიანები,—ისევ მიდიან წინ; ტალღები კვლავინდებური სიმკაცრით სცემს და უდარდელათ მითამაშებს, მიგორავს...

... ჩემი მდგომარეობა თითქო მათ არ აწუხებთ; უკან, ჩემთვის მოსახედავი დრო იმათ აღარ დარჩენიათ... მათ ყურადღებას მე ველარ ვიქცევ.. საშინელ მდგომარეობას განვიცდი... მარტოდ ..

არავინ დამხმარე, შემბრალებელი...

კვლავ ვცდილობ მე ხმა ამოვიღო, ვიყვირო... ვატან თავს ძალას, მაგრამ ამაოთ, მიზანს ვერ ვაღწევ...

ცივ ცხელ ოფლში ვიწურები...

სადა ვარ?..

რა ხდება?..

8

... თვალი გავახილე,—ვიწექი, მძინებოდა.

გამოვეხიზლდი,—თურმე სიზმარში ვყოფილიყავ ..

ყოვლის შემძლებელო!!.

... ვიგრძენი, გავიგე, რომ ყოველივე ეს სიზმარი ყოფილიყო, სიზმარი!..

მაგრამ მე მაინც ვერ დამეღწია თავი მისგან მიღებულ ძლიერ შთაბეჭდილებასაგან...

ვთრთოდი...

ჰაერი სასუნთქავად არ მყოფნიდა...

ცხვირის ნესტოები მეჭიმებოდა.

უცნაურად მიცემდა, მიფანცქალებდა გული.

საკვირველი იყო!—ვერ შევრიგებოდი მშვიდ სიცხადეს...

და მწარედ, ხმა მაღლა წამოვიძახე: „ეს ხომ სიზმარი იყო, სიზმარი, და არა სინამდვილე!?."

გათენების ხანი იყო უკვე...

ამ ჩემმა წამოძახილმა, ჩემთან მწოლი ამხანაგის გამოძახილიც გამოიწვია:—„რა ამბავია? რა მოგივიდა ამხანაგო?"—მკითხა მან და აქ მიამბო, რომ მე თურმე მთელი ღამე საშინელ კნავილ-წუხილში და ყრუ ბოდვაში ვყოფილიყავი...

შეშინებოდა თურმე ამხანაგს...

მე უამბე ეს სიზმარი მას და აი როგორ მიპასუხა:

„...ეს ხომ სინამდვილეშიც ასეა დღეს?!. ეს ხომ ის გზა არის ცხოვრების, რომელზედაც ჩვენ შევდექით და მივდივართ??!

ხ. თალაკვაძე.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბირჟა

თბილისი. 21 სექტემბერი. თბილისის სავალიუტო სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი:

20 სექტემბერს. ოქროს 10 მან.—1,150,000. ოსმალეთის ლირა—175,000. გირ. სტერლინგი.—1,100,000. დოლარი—235,000.

ბაქოს ბირჟა

ბაქო., 17 სექტემბერი. ბაქოს ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი.

	14 სექტ.	16 სექტ.
დოლარი	7,100,000	7,400,000
გირ. სტერლ.	32,200,000	35,000,000
ფრანკი	575,000	600,000
იტ. ლირა	300,000	320,000
ოსმ. ქაღ. ლირა	5,000,000	5,500,000
მარკა	8,000	7,000
რუს. 1922 წ. (100ათ-დე)	94	93
„ „ 100-მეტი	94	93
შემოკ. ვალდებ. 5000 და 10000	82	82
ქართული	2,950	2,900
ოქ. 10 მან.	33,500,000	36,500,000
ოსმალ. ოქროს ლირა	27,000,000	28,500,000
ნატეხი ოქრო (56 საწ.)	6,400,000	6,800,000
თუმანი	5,000,000	5,300,000
ვერცხ. 1 მან.	1,700,000	1,750,000
წვრილი ვერცხლი	700.000	725,000

ბერლინის ბირჟა.

ბერლინი. 20 სექტემბერი. გირ. სტერ.—6491,00. დოლარი—1463,6 ჰოლანდ. გულდ.—56828,85.

პარიზის ბირჟა

პარიზი: 18 სექტემბერი დახურდავება, ლონდონი—58,095 ნიუ-იორკი—13,12. გერმანია—0,961. ისპანია—198,75.

ლონდონის ბირჟა

ლონდონი. 18 სექ. პარიზი—58,315. ნიუიორკი—4,206, ბრიუსელი—61,725, ჟენევა—23,715. მილანი—105,88, ბერლინი—6550,00, კოპენჰაგენი—21,3, ვენა—32500, პრაგა—136,00, ჰელსინგფორსი—103,5,

ბათუმის ბირჟა

ბათუმი. 17 სექტემბერი. ბათუმის სავაჭრო-სავალიუტო ბირჟის ოფიციალური ბიულეტენი 16 სექტემბერს: ოსმალეთის ქაღ. ლირა—175—178 000 მან. ქართ. ბონით. 4,20.000—4.400 000 საბჭოთა ფულის ნიშნ. დოლარი—135—140 გირვ. სტერლ. 615—625, 20 ფრანკი—220—230, 20 ლირა იტალ.—130—140 ოსმალეთ. ოქროს ლირა—520—530, ოქროს 10 მანეთ. 620—630.

პროფკავშირებში

ტყიბული

ა. წ. 24 აგვისტოს ტყიბულის მაღაროებში მომხდარი პროფკავშირის გამგეობის არჩევნები ერთხელ კიდევ მაჩვენებელია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე პარტიები და ჯგუფები სრულებით დაშლილ დანგრეულია; არავითარი ნდობა და გასავალი ხალხში მათ არ აქვთ.

ჩვენ გვახსოვს აქ მენშევიკური არჩევნები, როდესაც ისინი ეხვეწებოდენ და ემუდარებოდენ ხალხს, ჩვენ აგვირჩიეთო, და როცა ეს არ გადიოდა, მაუზერებს მიმართავდენ. ჩვენ გვახსოვს აქ კიდევ სხვა მათი ხრიკები და კომბინაციები. ეხლა მომხდარ არჩევნების დროს სრული თავისუფლება იყო დაცული. ამას ამტკიცებს არჩევნებში კანდიდატების სათითაოდ დასახელება სიტყვიერად და წერილობით, პერსონალური კენჭის ყრა, კანდიდატის დახასიათება, კენჭის ყრის დროს გარედ გამოძახება და სხვა. როგორც გამგეობაში, ისე სარევიზიო კომისიაში ირჩევენ კომუნისტური პარტიის წევრებს, თითქმის ყველას ერთხმად.

ტყიბულის მაღაროების პროფესიონალური კავშირის გამგეობა ამდენხანს უნდა გადარჩეულიყო, მაგრამ ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამ, რომ მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობის გამორკვევა და კოლექტიური ხელშეკრულების დადება გაძნელდა, ამ საქმის მოგვარებისათვის კავშირი მეცადინეობდა და გადარჩევისათვის დრო არ ქონდა. ამ საქმის მოგვარების შემდეგ კი დაინიშნა კრება, რომელსაც დაესწრო 300 მდე კაცი და რომელზედაც ვრცელი მოხსენება გააკეთა პროფკავშირის მუშაობის შესახებ დღიდინ არჩევისა, ე. ი. 1921 წ. 9 სექტემბრიდან—ამხ. რ. ცირეკიძემ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კავშირს ბევრი რამ ქონდა საკეთებელი; უპირველეს ყოვლისა მას მოუხდა ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, თავის ფუნქციების კარგად გამორკვევა და სხვა ორგანიზაციებთან შესაფერი დამოკიდებულების დაჭერა. ამის შემდეგ პროფკავშირი უმთავრეს მუშაობას აწარმოებდა მუშების ეკონომიური მდგომარეობის გამორკვევისა და გაუმჯობესებისათვის. ამაზე მას ბევრი მუშაობა დასჭირდა, განსაკუთრებით ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემდეგ, როდესაც პროფკავშირის დებულებებიც შეიცვალა. ჩვენ უნდა დაგვედვა ხელშეკრულება სამეურნეო ორგანოსთან, მაგრამ აქ დიდი დაბრკოლება გადაგვეღობა წინ. ჩვენი ნაწარმოები ნახშირი აღარ საღდებოდა და წარმოების გამგეობა ხელშეკრულების დადებას არ ფიქრობდა. ამის გამო ჩვენი მუშა მოსამსახურენი ძველი ტარიფებით ღებულობდენ ჯამაგირებს ც სხვა ყოველგვარ კმაყოფილებას ა. წ. 1-ლ აგვისტომდე.

მხოლოდ ამ დროს შევძელით ჩვენ ხელშეკრულების დადება.

ამნაირად ამ მუშაობას ჩვენ თითქმის მთელ დროს ვანდომებით და ორგანიზაციულ და კულტურულ დარგში ვერ გავაკეთეთ იმდენი, რამდენიც უნდა გაგვეკეთებია, მაგრამ აქაც შევძელით ცოტა საქმეს გაკეთება: გავხსენით წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა და ბავშთა სასწავლებელი, სადაც აქამდე სწარმოებდა მეცადინეობა და მომავალშიაც იწარმოებს: დავაარსეთ მუშათა კლუბი, სადაც ვმართავდით წარმოდგენებს და ვაჩვენებდით სურათებს. ვაწარმოებდით ორგანიზაციულ მუშაობას: ვიწვევდით საერთო კრებებს, მიტინგებს, გამგეობის სხდომებს, ადგილკომების თათბირებს და სხვა, მთელ დანარჩენ დროს კი ეკონომიურ სფეროში მუშაობას ვანდომებდით, რისთვისაც მუდამ გზაში ყოფა, ქალაქში სიარული გვიხდებოდა და ამას ნაყოფიც მოქონდა. შემდეგ ამხანაგი აღნიშნავს თუ რა გაკეთდა შრომის დაცვის დარგში და ციფრებით აჩვენებს ფეხსაცმელ-ტანსაცმლის და ფულის შემოსავალ-გასავალს.

ბოლოს ამხ. რ. ცირეკიძე კითხულობს ტყიბულ—შრომის წარმოების გამგეობასთან დადებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას და მუხლობრივ განმარტავს მას. ხელშეკრულება მოწონებულ იქნა. შემოდის შეკითხვები კავშირის მუშაობაზე მოხსენების ირგვლივ, რომლებზედაც შესაფერი პასუხი გასცა მომხსენებელმა. კამათი არ გახსნილა და პირდაპირ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. რ. ცირეკიძისა სამთომადნო პროფკავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ 1921 წ. 9 სექტემბერიდან დღემდე, აღვნიშნავთ, რომ მას მოქმედება ძნელ პირობებში უხდებოდა, რის გამოც ამ მუშაობას დამაკაყოფილებლად ვსცნობთ და ვუსურვებთ ახალ გამგეობას უფრო მეტ ენერგიულ და ნაყოფიერ მუშაობას“.

ამის შემდეგ მოხდა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. კანდიდატების დასახელება იყო წერილობითი და სიტყვიერი სათითაოდ, კენჭის ყრაც სათითაოდ მოხდა.

როგორც ზევით ვთქვით გამგეობაში სარევიზიო კომისიაში თითქმის ყველანი ერთხმად არჩეულ იქნენ კომპარტიის წევრნი და ერთი უპარტიო.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: რაჟდენ ცირეკიძე, გიორგი ჰიალაშვილი, გალ. ქასრაშვილი, გერ. ცეცხლაძე, პლ. მიხელიძე (ერთხმად) ბიქტორ ბრეგაძე და ალ. ქასრაშვილი; მათ კანდიდატებათ სილ. ბრეგაძე და შალვა სოფრომაძე (ხმის დიდი უმრავლესობით).

სარევიზიო კომისიაში ერთხმად არჩეულ იქნენ: პლ. ტყაბლაძე, ი. ქასრაშვილი და ვენ. ზაქურაძე (უპარტიო).

ასე ჩატარდა ტყიბულის მაღაროების პროფკავშირის არჩევნები, რომელიც ერთხელ კიდევ მაჩვენებელია ჩვენი მოწინააღმდეგე ძალების საბოლოო დაშლის და დარღვევისა.

იაგო.

პროვინციაში

ლეჩხუმის მაზრა

წელს მაზრას ეწვია მრავალი სტიქიური უბედურება: 1 ლი—დაიმეწყრა და სრულიად აყარა სოფ. თხიჭურგა, რომელიც მაზრაღმასკომის წარმომადგენლებისაგან შემდგარმა კომისიამ დაათვალიერა ადგილობრივად, განადგურებულ მოსახლეობისათვის გამონახულ იქნა სოფელ ლასურიაში შესაფერისი საფონდო სამოსახლო მიწა. ეს მიწა უკვე დაიმიჯნა დასახლებისათვის და დაუნაწილდათ თორმეტ მოსახლეს. 2—განადგურებულია მრავალჯერ მოსულ სეტყვისაგან ვენახები. სოფელ ლაილაშში, ლუსში, წიფერჩში, კარდნალაში და ჩქუმში. აქვე განადგურებულია 40 პროც. პურიც, მარცვლის დაცვენით. ამავე სოფლებში დაიმეწყრა სიმინდიანი ადგილები და მოსავლის დანაკლისი უნდა ჩაითვალოს 20 პროც.

3.—მეწყრისაგან უკანასკნელ მდგომარეობაში იმყოფება სოფელ ლუხვანოს ოცდა ათამდე მოსახლე სოფელ ბარდნალის ოცამდე და სოფელ ქულბაქის კი სამოცი მოსახლე.

აღნიშნული მცხოვრებლები ელიან დახმარებას მთავრობისაგან. კერძოთ სოფელი ქულბაქი დათვალიერებულ იქნა სამაზრო ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან ადგილობრივათ და გამოირკვა შემდეგი: სოფელი ქულბაქი დიდი საშიშროების წინაშე სდგას—მას ემუქრება განადგურება და უფსკრულში გადავარდნა „ახხის“ მთის ძირფენილიდან მიმდინარე 1922 წლის მაისის თვეში გაჩენილ ქვიან სითხის გამო. ეს მოვლენა, ახხის მთის ძირფენილიდან სითხის გამოსვლაზე როგორც დავრწმუნდი აიხსნება შემდეგი გარემოებით: ახხის მთას სოფელ ქულიბაქის მხრივ წარმოადგენს კლდიანი მწვერვალი და მწვერვალიდან საგრძნობ მანძილზე დაშორებით იწყება შიშველი გვერდის ფენილი.

ამ ფენილს ზევით, როგორც თვით საძოვარ ტრიალ მინდვრებზე მთაში, აგრეთვე ქულბაქის ნაწილშივე, კლდის მწვერვალის ჩაჩროებიდან დაწყებული თვით გვერდის ფენილამდე, ძევს მუდმივი თოვლი, საიდანაც იწყება სოფელ ქულბაქზე ჩამომდინარე „თეთრი ღელეს“ სათავე.

„ახხი“-ს მთის ეს თოვლი ნაწილობრივად დნება და დაგროვილი წყალი ეძებს გამოსავალს.

წყალს უშლევია გზა ზედაფენილშივე, მთის სიღრმეში, ახხის მთის ძირთან მჭიდროთ მომიჯნავე მთის ზედა ნაწილში, სადაც თვით თოვლი ძევს.

დროთა განმავლობაში ახხის მთის, ქულბაქის ნაწილში, ზედა ფენილიდან მომავალ „თეთრი ღელე“-ს და ამავე „ახხის“ მთის ძირს ფენილიდან—მის მომიჯნავე მთის ზედა ნაწილთან არსებულ ხვრელის საშუალებით, მთის სიღრმეში დაგროვილ წყალს, გაუსითხევებია რა მთის გული, ბუნებრივადვე დაგროვილი გაზით ას ოცი წლის წინათ გამოუნგრევია ზემოდ აღნიშნულ „თეთრი ღელე“-ს სავალ გზით და ქულბაქის სამოსახლეო ასეული დესეტინა მიწაზე გადავლით მიწიან და ქვიან სითხეს სავსებით გაუნადგურებია მცხოვრებლები, ათეულ საქონ, გასითხევებულ მ წინ რიყის გადადებით სოფელ ქულბაქის ნიადაგზე გადარჩენილა სულ სამი ოთხი მწყემსი, რომლებიც სოფელ ქულბაქისავე, ახლანდელი მცხოვრებლების სიტყვით გადაბარგებულან სოხუმის ოლქში და მათ შორის ერთი ღრმათ მოხუცებული, ეხლაც სცხოვრობს კუმისტანის მაზრაში.

ეს მოვლენა მცირეოდენად განმეორდა 1914 წელში და 1922 წლის მაისის პირველ რიცხვს, და რადგან დღეს, თითქმის გვალვის დროს, ღისით, კვლავ გამოხეთქა ქვიან და მიწიანმა სითხემ და ორმოც საჟენიან ქვების გადმოსროლით, გადავლო სოფელ ქულბაქის სამუშაო და სამოსახლო მიდამოებზე აღმოსავლეთით 4—5 გრადუსით, სულ ოცი დესეტინის მანძილზე.

ეხლა ამ სითხისაგან ამ რიგათ არის გასწორებული მთელი სამუშაოს საუკეთესო ადგილი სოფელ ქულბაქისა, რომ „თეთრი ღელეს“, მცირე ავდრის დროსაც კი აქვს სრული საშუალება გაანადგუროს სულ მცირე გამონაკლისით მოსახლეობა ქულბაქისა.

ასეთია საშიშ და აუცილებელ მდგომარეობაში იმყოფებიან ზემოდ ჩამოთვლილი სოფლების მცხოვრებნი. ისინი დაბეჯითებით თხოულობენ გადასახლებას. დასასახლებლად შუამდგომლობენ მიეცეთ სამოსახლო მიწები, სამუშაო ადგილები ისეთ კუთხეში, სადაც შეეგუებიან ჰაერს და მდებარეობას. ისინი მოელიან დახმარებას მთავრობისგან.

შალვა წერეთელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 22

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის და საქ. პროფ. კავ. საბჭოსი.

ქ. ტფილისის დარაჯთა და მეეზოვეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

დარაჯთა და მეეზოვეთა შრომის სასყიდლის შესახებ აქამდე არსებულ დებულებათა შესაცვლელად ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატი საქ. პროფ. კავშ. საბჭოსთან ერთად ადგენს, რომ ქ. ტფილისის დარაჯთა და მეეზოვეთა შრომის დაჯილდოვება ამა წლის 1 აგვისტოდან იწარმოებს შემდეგი წესით:

1. დარაჯნი და მეეზოვენი, რომლებიც ემსახურებიან იმ სახლებსა და სავაჭრო დაწესებულებებს, რომლებიც იმყოფებიან მთავარ ქუჩებსა, მოედნებსა და ბაზრებში (რუსთველის და პლეხანოვის პრ., ლენინის ქუჩა, ვერის დაღმართი, სასახლის, სოლოლაკის, პუშკინის, ლერმონტოვის, ამალლების, შტაბის და მუხრანის ქუჩები, მუხრანის ბაზარი, ცენტრალური ბაზარი, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ახალი ბაზარი, ჩერქეზიშვილის მოედანი, 19 თებერვლის ქ., დესიმონოვის მოედანი, კახეთის ქუჩა, ვარდის მოედანი, ნუნუპაროვის ბაზარი, თავისუფლების მოედანი, ვორონცოვის ქ., ბაყალის ქ., სომხის ბაზარი, თათრის მოედანი, ჭავჭავაძის და დავიდოვის ქ., (ეკუთვნიან 1-ლ კატეგორიას.)

ბ) დარაჯნი და მეეზოვენი, რომლებიც ემსახურებიან დანარჩენ ქუჩებსა, მოედნებსა და ბაზარებზე მდებარე შენობებს—ეკუთვნიან მეორე კატეგორიას.

2. ორივე კატეგორიის დარაჯთა და მეეზოვეთა შრომის სასყიდლის გამოანგარიშება ხდება შემდეგის მიხედვით. საქ. პ. კ. ს მიერ აღრიცხული პროდუქტთა ღირებულება შეადგენს სატარიფო განაკვეთის პირველ ხარისხისათვის 70 პროცენტს შეეფარდება ცხრილში რჩება 1:5.

3. პირველი კატეგორიის დარაჯნი და მეეზოვენი ღებულობენ ჯამაგირს მე 4 ე ხარისხით, რაც შეადგენს თვიურად, კვირა და უქმე დღეების ჩათვლით, 2.977 000 მანეთს.

4. მეორე კატეგორიის დარაჯნი და მეეზოვენი ღებულობენ ჯამაგირს მე 3-ე ხარისხით, რაც შეადგენს თვიურად, კვირა და უქმე დღეების ჩათვლით,—2 604 000 მანეთს.

5. ამ დადგენილების მე-3-მე და მეოთხე მუხ. ნაჩვენებ განაკვეთის გარდა ჯამაგირის გადამხდელი აძლევს მეეზოვეს (დარაჯი) კიდევ 2 პროცენტს, ადგილობრივ კომიტეტის შესანახად, აღნიშნულ ფულს უკანასკნელი გადასცემს კომუნალურ მეურნ. კავშირთან არსებულ დარაჯთა და მეეზოვეთა სექციას.

6. დადგენილება ესე შედის ძალაში 1922 წ. 1 აგვისტოდან. იმ შემთხვევაში, თუ კი აიწია საბაზრო ფასებმა, პროდუქტებზე, მაშინ პროპორციულად აიწევა დარაჯთა და მეეზოვეთა განაკვეთიც.

შრომის სახალხო კომისარი
ალ. იაშვილი.

ს. პ. კ. ს. მდივანი **ს. ჯუღელი.**

შრ. სახ კომ. საქმეთა მმართველი
მ. ბარნაბიშვილი.

ქალაქ ტფილისის აღმასრულებელ კომიტეტის სამმართველოს განყოფილებისადმი ბრძანებიდან ამონაწერი 19 სექტემბრიდან № 33 § 1. საერთო.

ვბრძანებ განყოფილების მუშაობის ნაყოფიერების გასაძლიერებლად და შრომის მიზან-შეწონილად გასანაწილებლად დაევალოს ჩემს მოადგილე ამხ ჩხეიძეს ქალაქის მილიციის უშუალოდ ხელმძღვანელობა: განყოფილებაში შემოსული მთელი მიმოწერა რომელიც ეხება ქალაქში მომხდარ შემთხვევებს, დაპატიმრებებს, სავალდებულო დადგენილებათა დამრღვევებს და სამილიციო რაიონის პირადი შემადგენლობის მიღება-დათხოვნის საკითხებს, იხილვებოდეს ამხ. ჩხეიძის მიერ გაცემულ ბრძანება განკარგულების მიხედვით.

აგრეთვე ამხ. ჩხეიძეს ევალება ჩემი არ ყოფნის დროს განყოფილების მიერ მუშაობა-მოქმედების სრული ხელმძღვანელობა.

სამმართველოს განყოფილების უფროსი, პრეზიდიუმის წევრი
თაქთაქიშვილი.

სარეკლამო ნაწილი

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მოხუცებულობა გამწარებული უბედური მშობლები პელაგია და დიმიტრი და ახალგაზრდობა მოწამლული ძმები საშა და დათიკო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ შაბათს 23 სექტემბერს მათთვის უსაყვარელესი და მუდამ დაუვიწყარი

მეგი ბზიავას

უდროოდ გარდაცვალების წლის თავზე დიდუბის სასაფლაოზე გადახდილი იქნება პანაშვიდი შვიდის 4 საათზე. (458—1—1)

ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი

აცხადებს

ქ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოთ

რომ ყველა მოქალაქეებმა,

ვისაც ჰყავთ ძაღლები

უნდა შეიტანონ ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის გადასახადებას ამკრეფ ბიუროს სათანადო სააგენტო კანტორაში

500.000 მან. თითოეულ ძაღლზე

და მიიღოს სათანადო მოწმობა.

30 სექტემბრიდან დაიწყება ძაღლების ჭერა.

კანტორების მისამართები:

1—13 კომისარ. ვერის დაღმართი.
2—3 „ გრაფის ქ. № 14.
4—5 „ თათრის მოედანი.
6—7 „ ავლაბ. ნუნუპაროვის ბაზ.
8—9 „ ელისაბედის ქ. 10.
10, 11 და 12 „ ჩერქეზიშვილის ქ. № 8.

გადასახადების ამკრეფი ბიუროს გამგის მოადგილე გ. ცანიძე.
3—1 341

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(304—25—10)

ცენტრალური
საშინაო-სამშენებლ
კოოპერატივი

«ცენტროშენი» („Центрострой“) მოთავსებულია
ქტემბრიდან სერგის ქუჩაზე № 8 სახლში, სახალ
ნეობის უმაღლეს საბჭოს სამშენებლო განყო
თან. «ცენტროშენი» იძლევა ყოველგვარ ცნობე
ნაო კოოპერაციის შესახებ (წესდებას, დებულებ
სტრუქციებს).

კისრულობს თავის თავზე საშინაო ამხანაგობ
განიზაციას.

«ცენტროშენი» სახალხო მეურნეობის უმაღ
ჭოს სამშენებლო განყოფილებასთან შეთანხმ
ლევა ტეხნიკურ დარიგებას, ადგენს ხარჯ
ხვას და სხვა.

ჩაწერა „ცენტროშენის“ წევრად შ
ყოველ დღე 10—3 საათამდე.

თავმჯდომარე გ. როხლ
მდივანი ი. პრეობრაჟ

(კრ. 334.—3—2.)

კვირას, 24 სექტემბერს, დილის 10 სა
ქალ. აღმასკომის დარბა
დანიშნულია
ქალ. თბ. აღმასრულებელ კომიტ.
მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგად
რწმუნებულთა კრებ

დღის წესრიგი:

1. ანგარიში გამგეობის 1921 წ. მოქმედების შესახებ და
სარევიზიო კომისიის. 2. მოკლე მიმოხილვა გამგეობის 1922 წ.
შესახებ. 3. დამოკიდებულება მთლიან მუშათა კოოპერატივთან.
ბისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 5. მიმდინარე კითხვ
თუ დანიშნულ დროს არ გამოცხადდა კანონიერი რიცხვი
ლებისა 11 საათზე ინიშნება განმეორებითი კრება, რომელიც
ჩაითვლება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავათ.
(450—2—2) გამგ

გაზეთის ტრესტის პროვინცია
კონტრ-აგენტების
საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ
კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელ
საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკ
სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია.
აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში,
ლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიიცემა
გებაში. (0—

საქართველოს სახალხო ბანკის საკაჭ
განყოფილება
იხმობს იმ პირთ, ვისაც შეუძლია იკისროს
ბლიკის მილიციის ტანთსაცმელის დამზადება.
რო ცნობების მიღება შეიძლება სახალხო
საკაჭრო განყოფილებაში (ლორის-მელიქოვის
339—3-

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 690 მიხეილ
სახელზე გაცემული, ჩაითვალოს გაუქ
(338-

დაიკარგა პირველი შრომის სკოლის გათავები
№ 555 დათიკო მდივნის სახელობაზედ
გაუქმებულად. (339-

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული თბილ
ციის სამმართველოდან ნინო სარქისის
ლორდავას სახელზე. მოწმობას გაუქმებულათ ვაცხადებ.
(343—1—1) ნ. გულორ

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კ
დენტის უშანგი სიმონის ძე ლომინაძ
სალექციო წიგნაკი № 3999. 342-

დაიკარგა მოწმობა პირადობის მიღებული ს. ქ. დ
ციიდან № 18. გაუქმებულათ ჩაითვალ
თოდომაშვილი. (34

დაიკარგა გორსა და წაღვერს შუა 20—8—22 ტ
ლე სხვა და სხვა დოკუმენტითა და კვ
მათ შორის: პასპორტის უვადო წიგნაკი, სალდათობის ნუსხა,
ლალდისა და წიგნების მობარების ორი ბარათი ქუთაისის სა
სტამბიდან მოცემული, მანდატები: უნივერსიტეტიდან, ქუთაისის
განყოფილებიდან და სხვა, რომელთაც გაუქმებულათ ვაცხადებ.
თუ ხსენებულ საბუთებს დამიბრუნებს, მიიღებს საჩუქარს. მისამა
ლისი. სასტუმრო ნოე იასონ გაბილაია. (455-

ტირაჟი 10.000 ნ. დ. ს. ც.

საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიული განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.